პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
20 ნოემბერი
1940 წ.
№ 269 (5970)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომზადებული შევხვდეთ სწავლების დაწყებას ახალ სასწავლებლებსა და სკოლებში

ათი დღეა, რაც მთელ ჩვენს დიად ქვეყანაში წარმატებით მიმდინარეობს სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევა (მობილიზაცია). ამ დღეებში ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, თუ რა აღფრთოვანებით, რა სიხარულით მიდის სტალინური ზრუნვით გარემოცული ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობა ახალ სასწავლებლებსა და სკოლებში.

საქართველოში გაწვეულ უნდა იქნას 4700 ახალგაზრდა, დღეისათვის ამ კონტინგენტის ნახევარზე მეტი უკვე შევსებულია. განსაკუთრებით აღსანიშნავი ის არის, რომ ამ კონტინგენტის შევსება უმთავრესად ნებაყოფლობით ხდება. ახალ სასწავლებლებსა და სკოლებში მეტწილად ჩარიცხულნი არიან ის ახალგაზრდები, რომლებმაც განცხადებები შეიტანეს ნებაყოფლობით მიღებაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 2 ოქტომბრის დადგენილებაში „სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ", გამოხატულია პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვა მრეწველობის შემდგომი განვითარების მიზნით მუშა-ხელის გეგმიანი მომზადებისათვის.

მრეწველობის განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის ამ ზრუნვას საბჭოთა ახალგაზრდობა გულმხურვალედ გამოეხმაურა.

მთელ რიგ რაიონებში: თბილისის, წალკის, ზუგდიდის, ორჯონიკიძის, ზესტაფონის, აბაშის, საჩხერის, მცხეთის, ყვარლის, ლაგოდეხის, ქვემო-სვანეთის, ქედის ხულოს, ყაზბეგისა და სხვ. რაიონებში, ქ. ქუთაისში, ჭიათურაში, თბილისის ორჯონიკიძისა და ბერიას სახელობის რაიონებში გაწვევა ორგანიზებულად და წარმატებით დამთავრდა. გამწვევ კომისიებს ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწიეს ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

გაწვევის დამთავრებამდე ხუთი დღეა დარჩენილი, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დანარჩენ ადგილებშიც ასევე წარმატებით იქნება ჩატარებული გაწვევა და ახლად ჩამოყალიბებული სასწავლებლები და სკოლები შევსებული იქნებიან მაღალი პოლიტიკური შეგნებით აღჭურვილი, მუყაითი, ჯანსაღი ახალგაზრდებით.

ამჟამად გაშლილია დიდი მუშაობა, ახალ სასწავლებლებსა და სკოლებში სწავლების დაწყებისათვის მოსამზადებლად. გამოყოფილია სათანადო შენობები, წესრიგში მოჰყავთ საერთო საცხოვრებლები, სწარმოებს სასწავლებლებისა და სკოლებისათვის საჭირო მოწყობილობათა გამონახვა, მთავრდება ხელმძღვანელი, პედაგოგიური, ტექნიკური პერსონალისა და უფროსი ოსტატების შერჩევა. დირექტორებად და სასწავლო ნაწილების ხელმძღვანელებად დანიშნული არიან გამოცდილი ინჟინრები, ოსტატებად — კვალიფიციური, სტაჟისმქონე, გამოცდილი მუშები.

დიდ მუშაობას ეწევიან თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი, 26 კომისრის სახელობის მექანიკური და სხვა ქარხნები ახალი სასწავლებლებისა და სკოლებისათვის საჭირო იარაღ-მანქანებისა და დაზგების მოსამზადებლად.

კარგ მაგალითს იძლევა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, რომელმაც იკისრა შეფობა თბილისის რკინიგზის სასწავლებელზე მისთვის სასწავლო-საწარმოო პროგრამის შედგენისა და ყოველდღიური დახმარების გაწევის მხრივ. სასურველია სხვა ტექნიკური სპეციალობის ინსტიტუტებმაც მიჰბაძონ ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მაგალითს.

ადგილებზე მიღებულია ზომები სასწავლებლებსა და სკოლებში ჩარიცხული ახალგაზრდების ტანსაცმელით და სამგზავრო საბუთებით უზრუნველსაყოფად.

მაგრამ ყველგან ერთნაირად როდი ემზადებიან ახალ სასწავლებლებსა და სკოლებში სასწავლო წლის დაწყებისათვის. ქუთაისში, სამტრედიაში და ზოგ სხვა ადგილებში, სადაც ეს სკოლები და სასწავლებლები იხსნება, ყველაფერი რიგზე როდია შენობების, საერთო საცხოვრებლებისა, სახელოსნოების მომზადებისა და სხვა მხრივ.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების ვალია გააძლიერონ მუშაობა არსებული ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად.

განსაკუთრებული მოვალეობა ეკისრებათ პროფკავშირულ ორგანიზაციებს. საკავშირო პროფსაბჭომ მათ დაავალა 25 ნოემბრამდე ჩაატარონ სახელოსნო სასწავლებლების, რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების სასწავლო წლისათვის მზადყოფნის მასობრივი დათვალიერება, ამასთან მოაწყონ გაწვეული ახალგაზრდების შეხვედრა. სამწუხაროდ, ამ დირექტივის შესასრულებლად ჩვენს პროფორგანიზაციებს ჯერ ბევრი არაფერი გაუკეთებიათ.

სწავლა 1 დეკემბერს იწყება. დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ამ დავალების განუხრელად შესრულებისათვის, დაუყოვნებლივ უნდა გაიშალოს ახალი სასწავლებლებისა და სკოლების სასწავლო წლისათვის მზადყოფნის შემოწმება, რათა შეგვეძლოს გზადაგზა შემჩნეული ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში სწავლის დაწყებას ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ! — ასეთია სადღეისო საბრძოლო ამოცანა, რომელიც დგას პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე.

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი



აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის ცნობა

20 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე განსვენებული აკადემიკოსი ი. ა. ჯავახიშვილის ცხედარი გადასვენებული იქნება სამკურნალო კომბინატის შენობიდან (მარის ქ. № 5) თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში (კლუბის დარბაზში).

განსვენებულთან გამოსათხოვებლად მშრომელთ შეუძლიათ მისვლა ნაშუადღევის 4 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება საღამოს 7½ საათზე.

21 ნოემბერს განსვენებულთან გამოსათხოვებლად მშრომელთ შეუძლიათ მისვლა დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება ნაშუადღევის 2½ საათზე.

განსვენებულის ცხედარს სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობიდან გამოასვენებენ საღამოს 5 საათზე.

დაკრძალვა მოხდება სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის ეზოში.

ისტორიული მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწე

გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილი, ქართული მეცნიერებისათვის თავდადებული ადამიანი, ჩვენი უნივერსიტეტის ერთერთი ფუძემდებელი, საქართველოს ისტორიის დიდებული მკვლევარი.

ჯერ კიდევ გუშინ იგი ეწეოდა კვლევა-ძიებას საქართველოს ისტორიულ მასალებზე, ჯერ კიდევ გუშინ აკეთებდა თავის კვლევის შედეგებზე საჯარო მოხსენებას, ჯერ კიდევ გუშინ ყველა ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ივანე ჯავახიშვილის გამჭრიახი ჭკუა-გონების შედეგად მივიღებდით კიდევ მრავალ გამოკვლევას ჩვენი წარსული ისტორიიდან, კიდევ მრავალ ისტორიულ მომენტს მოეფინებოდა მის მიერ ნათელი. მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა მოულოდნელად გამოგვაცალა ხელიდან ჩვენი ისტორიულ მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწე, საბჭოთა წარჩინებული საზოგადოებრივი მოღვაწე.

დიდია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი სოციალისტური საქართველოს კულტურული აყვავებაგანვითარებაში.

მისი სახელი ღრმად არის ჩანერგილი ყველა იმათს გულში, ვინც მასთან ერთად მოღვაწეობდა უნივერსიტეტის საქმის განვითარებისათვის, ვისაც იგი ასწავლიდა ისტორიულ მეცნიერებას, და ყველა მშრომელთა ხსოვნაში, რომელთა თვალწინ გადაიშალა ამ უკანასკნელ წლებში მისი საზოგადოებრივი და მეცნიერული მოღვაწეობა.

მისი სახელი უკვდავია ყველა ქართველის, ყველა საბჭოთა მოქალაქის ხსოვნაში.

აკადემიკოსი
ივ. ბერიტაშვილი

დიდი ადამიანის ხსოვნას

განსვენებული აკადემიკოსის ივანე ჯავახიშვილის სახით ქართულმა საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ დაჰკარგა ერთერთი დიდი მოამაგე და სულისჩამდგმელი, თბილისის უნივერსიტეტმა— თავისი ერთერთი ფუძემდებელი, განახლებულმა სამშობლომ — მგზნებარე პატრიოტი და გულშემატკივარი შვილი.

საქართველოს ისტორიის შესწავლა მეცნიერულ ნიადაგზე ივანე ჯავახიშვილმა დააყენა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თავისი მეცნიერული მოღვაწეობა მან გადმოიტანა საქართველოში, სადაც მისი თავგამოდებული მეცადინეობით საფუძველი ჩაეყარა ჩვენი კულტურული აღორძინების კერას — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

სამშობლო ქვეყნის წარსულის მკვლევარს, რომელსაც გულს უკლავდა მისი დაკნინების დღეები, წილად ხვდა საკუთარი თვალით დაენახა მისი აღდგენა და აყვავება, და არა მარტო დაენახა, მონაწილეობაც მიეღო მისი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში.

იგი უდროოდ წავიდა ჩვენგან, მაგრამ წავიდა იმ შეგნებით, რომ შეუსრულდა ყველაფერი, რასაც ეტრფოდა, რისთვისაც იწვოდა.

ვისურვებთ, რომ ის, რაც განსვენებულს დაუმთავრებელი დარჩა, მის შეგირდებს დაემთავრებინოთ. ეს იქნება მისი სამარის საუკეთესო გვირგვინი.

პროფ. კ. კეკელიძე

ქართული კულტურის დიდი მკვლევარი

ძნელია მის შესახებ წერა, როგორც იმ ადამიანის შესახებ, რომლის აზროვნებაც შეწყდა: თვით მისი სახელი ინტენსიური აზროვნების სიმბოლოა, დაუცხრომელი მეცნიერული შემოქმედებითი მუშაობის იშვიათი ნიმუშია.

ფართო საზოგადოება მას იცნობდა, როგორც ისტორიკოსს და ეს ბუნებრივია: ქართველი ხალხის მდიდარი წარსული, — საქართველოს პოლიტიკური ისტორია, ეკონომიური ისტორია, სამართლის ისტორია—პირველწყაროების მიხედვით გამოკვლევათა მრავალტომეულში აისახა მის ხელში.

მაგრამ მისი სამეცნიერო ინტერესები გაცილებით უფრო ფართო იყო: ქართული და კავკასიური ენათმეცნიერების ფუძემდებელ პრობლემებზე ის მუშაობდა არა ნაკლები გატაცებით.

მან აღმოაჩინა უძველესი ქართული სამწერლო ძეგლები—ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების სახით და ამით ახალი თავი შესძინა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას.

ქართულ და ქართველური ენების კავკასიურ ენებთან გენეტიურ ურთიერთობას მან უძღვნა კაპიტალური შრომა, რომლის მნიშვნელობის ჯეროვნად შეფასება მომავლის საქმეა.

ქართული მუსიკის ისტორიას მან განუკუთვნა ვრცელი მონოგრაფია.

ქართული ნივთიერი კულტურის ისტორიის შესწავლის მიზნით მან ჩაატარა ახალგაზრდა თანამშრომლების მეშვეობით მუშაობა საქართველოს მთელ რიგ კუთხეებში და იშვიათი მეცნიერული ღირებულების უზარმაზარ მასალას მოუყარა თავი. ის ოცნებობდა ამ მასალათა დამუშავებაზე— „როგორც კი გადაუდებელ სამუშაოებისაგან მოვიცლიო".

ივანე ჯავახიშვილი ქართული კულტურის დიდი მკვლევარია, პატარა ხალხის დიდი კულტურის დიდი მკვლევარი.

და ეს მისი კვლევა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის უანგარო სიყვარულით იყო გამთბარი, იმ კეთილშობილი სიყვარულით, რომელსაც ბუნებრივად ეთვისება სხვა ხალხების პატივისცემა და სიყვარულიც.

ივ. ჯავახიშვილმა თავის მხრებზე იტვირთა დიდი სიმძიმე პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა (1918 წ.). ქართველ მეცნიერთა მცირე ჯგუფის კერძო ინიციატივამ საქვეყნო საქმეს ჩაუყარა საძირკველი მაშინ, როდესაც ამ წამოწყების მომავალი ცოტა ვისმე სწამდა. ეს მოხერხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საქმის სულის ჩამდგმელი იყო ივ. ჯავახიშვილი, მისი ურღვევი ნებისყოფა და უმაგალითო რწმენა ქართველი ხალხის შემოქმედებითი შესაძლებლობისადმი ქართველი ხალხის მომავლისადმი.

თბილისის უნივერსიტეტი იქცა განახლებული ქართული მეცნიერული კულტურის სათავედ.

ახლანდელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ინდუსტრიული ინსტიტუტი, სამედიცინო ინსტიტუტი პირველად აქ ჩამოყალიბდნენ, როგორც უნივერსიტეტის ფაკულტეტები.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტებიც წარმოშობით უნივერსიტეტს უკავშირდებიან და უნივერსიტეტში აღზრდილი ძალებით დადგნენ ფეხზე. ამით მტკიცე საძირკველი ჩაეყარა საბჭოთა სპეციალისტების ახალი კადრების მომზადებას...

გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ივ. ჯავახიშვილის სახელს მოსავს დიდი ავტორიტეტი და სპეციალისტისათვის უმაგალითო პოპულარობა.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა მისი ამაგი მშობელი ქვეყნის წინაშე, ხოლო ქართველმა ხალხმა ნდობით აღჭურვა და ქვეყნის უმაღლეს ორგანოში წარგზავნა იგი, როგორც დეპუტატი.

მისმა სამეცნიერო ავტორიტეტმა მას მოუპოვა საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრის საპატიო და ღირსეულად დამსახურებული სახელი.

ივ. ჯავახიშვილმა თავისი სახელი უანდერძა ქართული კულტურის ისტორიას.

პროფ. არნ. ჩიქობავა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის დეპეშა

მოსკოვი, 19 ნოემბერი **(საკ. კორ.).** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დღეს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალს და განსვენებული აკადემიკოსის ი. ა. ჯავახიშვილის ოჯახს.

„სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი თქვენთან ერთად განიცდის მწუხარებას აკადემიკოს ჯავახიშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო და გიცხადებთ თავის ღრმა თანაგრძნობას".

დეპეშას ხელს აწერს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ო. ი. შმიდტი. სამძიმრის დეპეშა გამოგზავნა აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტმა. დეპეშას ხელს აწერს ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი უდალცოვი.

საქართველოს მშრომელთა დელეგაციის დეპეშა

ლვოვი 19 ნოემბერი. უკრაინაში მყოფი საქართველოს მშრომელთა დელეგაციამ ლვოვში შეიტყო უდიდესი საბჭოთა მეცნიერისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის გარდაცვალების ამბავი. დელეგაცია საქართველოს მთელ ხალხთან ერთად ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მძიმე დანაკლისის გამო.

დელეგაციის დავალებით: ზ. კიკნაძე, აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, დ. ყიფშიძე, კ. ბეჟვაია, ა. ვასაძე, ა. მაშაშვილი, ორაგველიძე, ილურიძე.

აფხაზეთის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დეპეშა

აფხაზეთის აკადემიკოს ნ. ი. მარის სახელობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის თანამშრომლები საქართველოს მთელ საზოგადოებრიობასთან ერთად მწუხარებას გამოსთქვამენ იმ მძიმე დანაკლისის გამო, რაც საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ განიცადა აკადემიკოს ივანე ალექსანდრესძე ჯავახიშვილის გარდაცვალებით.

აფხაზეთის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექცია

დიდი დანაკლისი

ქართველოლოგიამ იცის ორი დიდი სახელი: აკად. ნიკო მარი და აკად. ივანე ჯავახიშვილი. პირველმა ქართველური და კავკასიური ენები მსოფლიო ენათა განვითარების ისტორიის მონაწილედ გამოავლინა და ზოგად ენათმეცნიერებაში პირველ ადგილთაგანი განუკუთვნა მათ. საამისოდ მოიშველია ისტორია, ლიტერატურა, მატერიალური კულტურის ძეგლები და მათი საფუძვლიანი შესწავლით მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანა ქართული ფილოლოგია.

აკად. ივანე ჯავახიშვილმა კი ქართველი ერისა და მის მეზობელ ხალხთა ისტორიის ღრმა შესწავლით გამოააშკარავა ქართველი ხალხის მონაწილეობა უძველესი მსოფლიო კულტურის შექმნაში. საამისოდ მან მოიხმო ისტორიის ყველა დამხმარე დარგი (პალეოგრაფია, დიპლომატიკა, ნუმიზმატიკა, მეტროლოგია), მატერიალური კულტურა, ქართველური და კავკასიური ენები, მუსიკა, ლიტერატურა, სამართალი, ეკონომიკა. მთელ რიგ დარგებს პირველმა მან ჩაუყარა მკვიდრი საფუძველი. ისტორიის მეცნიერულ სიმაღლეზე აყვანასთან ერთად მანვე მიიტანა ეს მეცნიერება ხალხთან, მასობრივი გახადა ის თავისი ინიციატივით დაარსებული უნივერსიტეტისა და მრავალრიცხოვანი მოწაფეების მეშვეობით.

აკად. ივანე ჯავახიშვილი თავისი მრავალმხრივი, ღრმა ცოდნისა და კვლევის ხერხების გატაცებით გადმოცემასთან ერთად წარმოადგენდა მის მოწაფეთა და თანამშრომელთათვის მაღალადამიანური სისპეტაკისა, ხალხის უანგარო სამსახურისა და ღრმა სიყვარულის, მეცნიერულ მუშაობაში ენტუზიაზმისა და გულწრფელობის ნიმუშს და აკი თავისი საყვარელი საქმის შესრულების დროს მოკვდა კიდეც

აკად. ივანე ჯავახიშვილის მიერ დატოვებული მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა ყოველთვის იყო და იქნება ღრმა შესწავლისა და შემდგომი განვითარების ობიექტი. ამ ვალს სათანადოდ შეასრულებენ მისი მოწაფეები.

მისი დაუვიწყარი მაღალი შუბლის, ნათელი სახის სურათის წარმოდგენასთან ერთად ყოველთვის დაუვიწყარივე იქნება უკანასკნელი წუთები: საჯარო მოხსენების ხალისით კითხვის დროს ის გარდაიცვალა მოწაფეთა ხელში.

მძიმეა ეს უკანასკნელი წუთები!

პროფ. ვ. თოფურია

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება უდიდესი საბჭოთა მეცნიერის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, აკადემიკოს

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის

გარდაცვალებას.

გაზ. „კომუნისტის" რედაქცია მწუხარებით იუწყება უდიდესი საბჭოთა მეცნიერის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის აკადემიკოს

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის

გარდაცვალებას.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება უდიდესი საბჭოთა მეცნიერის, აკადემიკოს

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის

გარდაცვალებას.

საბჭოთა მუსიკის დეკადა

დღეს ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქში იწყება საბჭოთა მუსიკის დეკადა.

ეს დიდი მნიშვნელობის კულტურული ღონისძიება უკვე ტრადიციად დამკვიდრდა ჩვენს ხელოვნებაში. მეოთხე წელია, რაც ტარდება ეს შესანიშნავი ღონისძიება, რომელიც მშრომელთა ფართო საზოგადოებრიობისათვის მუსიკალური შემოქმედების გაცნობის, სტალინური მეგობრობის დუღაბით შეკავშირებული მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მუსიკალური კულტურის ურთიერთ გამდიდრების მთავარ ამოცანას ემსახურება და რომელიც წინსვლელობის ბიძგს აძლევს აღმავლობის გზაზე დამდგარ საბჭოთა მუსიკას.

საბჭოთა მუსიკის დეკადა წელს განსაკუთრებულ პირობებში უნდა ჩატარდეს. ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ მონაპოვართა ფონზე საბჭოთა მუსიკამ უნდა გამოავლინოს თავისი ბრწყინვალე მიღწევები, რომლებშიაც ასახული იქნება საბჭოთა ხალხების სიხარული და აღმაფრენა იმ ისტორიული მნიშვნელობის წარმატებების გამო, რასაც ჩვენი სამშობლოს ხალხებმა მიაღწიეს ლენინ-სტალინის გმირული პარტიის წინამძღოლობით, დიდი სტალინის ხელმძღვანელობითა და მზრუნველობით. ამ მხრივ დეკადის მნიშვნელობა ჭეშმარიტად დიდი და განუზომელია.

ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ კომპოზიტორებთან ერთად საზოგადოებრივ შეფასებას მიიღებენ საბჭოთა მუსიკის ახალგაზრდა შემოქმედი ძალები, რომლებმაც უკანასკნელ წლებში არაერთხელ გვიჩვენეს თავისი მიღწევები.

საბჭოთა მუსიკის მეოთხე დეკადა სიამოვნებით აღნიშნავს ჩვენი საოპერო მუსიკის ზრდას. წელს მას ახალი მაღალ-მხატვრული ოპერები შეემატა. მშრომელთა საზოგადოებრიობა გარდა მისთვის უკვე კარგად ცნობილი ოპერებისა და ბალეტისა, როგორიცაა, „დეპუტატი", „კაკო ყაჩაღი", და „მთების გული", მოისმენს ნაწყვეტებს ი. ტუსკიას ოპერა „სამშობლოდან", გრ. კილაძის—„ლადო კეცხოველიდან", ა. ბალანჩივაძის — „ბედნიერებიდან", ი. გოკიელის „გელადან" და დ. შველიძის „თენგიზიდან". მათი შეფასება ახალ შემოქმედებით ხალისს შეჰმატებს ჩვენს კომპოზიტორებს საოპერო ხელოვნების შემდგომი წარმატების მოსაპოვებლად, ჭეშმარიტი საბჭოთა კლასიკური ოპერის შესაქმნელად.

საბჭოთა მუსიკის დეკადა სიხარულით აღნიშნავს ჩვენი სიმფონიური მუსიკის აღმავლობასაც. უკანასკნელი წლის განმავლობაში ქართულმა საბჭოთა მუსიკამ მოძმე რესპუბლიკების მუსიკასთან ერთად ამ დარგში შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია. საკმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე დეკადის განმავლობაში შესრულდება 9 სიმფონიური ნაწარმოები. ფართო საზოგადოებრიობა მოისმენს კომპოზიტორის დიმ. არაყიშვილის სიმფონიას „ჰიმნი არმაზს", კ. მეღვინეთ-უხუცესის „სვანურ სიმფონიას", შ. მშველიძის „ზვიადაურს", შ. აზმაიფარაშვილის „ყვარლის მთებს", ი. გოკიელის „ლხინს", რ. გაბიჩვაძის, გრ. კილაძის, ა. კერესელიძის და ი. ტუსკიას სიმფონიებს. ამ სიმფონიების მეტი ნაწილი ისტორიულ თემებზეა აგებული. უნდა მოველოდეთ, რომ დეკადა მტკიცე დავალებას მისცემს საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორებს შეჰქმნან ჩვენი გრანდიოზული სინამდვილის შესაფერი სიმფონიური ნაწარმოებნი თანამედროვე თემაზე.

საბჭოთა მუსიკის დეკადა დიდ ბიძგს მისცემს კამერული მუსიკის შემდგომი განვითარების საქმესაც. წლევანდელი წელი მისთვის არანაკლებ ბარაქიანი იყო, ვიდრე საოპერო და სიმფონიური მუსიკისათვის. დეკადაზე შესრულებული იქნება სიმებიანი კვარტეტები, სეპტეტები, საფორტეპიანო და სხვადასხვა ინსტრუმენტალური ნაწარმოებნი, რომანსები და საგუნდო ნაწარმოებები ჩვენი ვოკალური და საორკესტრო ძალების მიერ, რომლებიც აგრეთვე თავის მხრივ მუსიკალური შესრულების კულტურის მხატვრულ ზრდას გვიჩვენებენ.

საბჭოთა მუსიკის მეოთხე დეკადის დღეებში ნაჩვენები იქნება მოძმე რესპუბლიკების მუსიკის თვალსაჩინო მიღწევებიც. მათი გამოცდილების გაზიარება გაამდიდრებს ქართულ საბჭოთა მუსიკას.

საბჭოთა მუსიკის დეკადა ემთხვევა საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითს კონფერენციას, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის გამოჩენილი კომპოზიტორები და მუსიკისმცოდნეები. ეს კონფერენცია დასახავს ქართული ნაციონალური მუსიკის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს მუსიკალურ ხელოვნებაში სოციალისტური რეალიზმისა და ხალხურობის დასამკვიდრებლად.

მხურვალე სალამი საბჭოთა მუსიკის დეკადის მონაწილეთ!

მოგებათა შემმოწმებელი ბიურო

18 ნოემბერს მოსკოვის შემნახველ სალაროთა ქალაქის სამმართველოსთან არსებულმა მოგების შემმოწმებელმა ბიურომ მოქალაქე რ-ს და ა-ს აცნობა, რომ მესამე ხუთწლედის სესხის (პირველი წლის გამოშვება) მერვე ტირაჟით მათ ობლიგაციებს ათას-ათასი მანეთი მოგება ჰხვდათ. ამ ტირაჟით მიღებული მოგების შესახებ ცნობა ამავე დღეს გაეგზავნა კიდევ 650 მსესხებელს.

მოგების შემმოწმებელი ბიურო მოსკოვში უკვე რამდენიმე წელია არსებობს. ბიურო მომსახურებას უწევს 50 ათას მშრომელს არა მარტო დედაქალაქში, არამედ რამდენიმე სხვა ქალაქშიც (ალმა-ატა, ლენინგრადი, სოჭა და სხვ.). ბიურო მსესხებლებისაგან იღებს ბარათებს, რომელზედაც აღნიშნულია ობლიგაციების ნომრები და ყოველი მორიგი ტირაჟის შემდეგ ამოწმებს მათ. მიმდინარე წლის განმავლობაში მოგების შესახებ ცნობა მიიღო ცხრა ათასამდე კაცმა. (საკდესი).

ყინულით გატაცებული მეთევზეთა გადარჩენა

ამ დღეებში სასან-ნორის ტბას (აღმოსავლეთ-ყაზახეთის ოლქი) ძლიერმა გრიგალმა გადაუარა. გრიგალმა ნაპირს მოსწყვიტა და გაიტაცა ყინული, რომელზედაც აღმოსავლეთ-ყაზახეთის თევზტრესტის 60 მეთევზე იმყოფებოდა. უსტკამენოგორსკიდან ორი თვითმფრინავი გაფრინდა საძებრად. მეთევზენი იპოვეს და საჭმელი ჩაუგდეს. შემდეგ თევზსაჭერმა გემებმა ისინი ნაპირზე გამოიყვანეს. ყველა გადარჩენილი ჯანსაღად არის.

ქრონიკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გაათავისუფლოს ამხ. მიხეილ ფილიპესძე ჩხეიძე საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე მის გადასვლასთან დაკავშირებით. (საქდესი)

სატრიკოტაჟო მრეწველობის ნაწარმთა დათვალიერება

18 ნოემბერს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატში გაიხსნა სატრიკოტაჟო მრეწველობის ნაწარმთა დათვალიერება. 100-ზე მეტმა საწარმომ, მათ შორის ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკათა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ფაბრიკებმა, რამდენიმე ათასი ექსპონატი წარმოადგინა. ეს ნიმუშები გვიჩვენებენ საბჭოთა სატრიკოტაჟო მრეწველობის მაღალ ტექნიკურ და მხატვრულ დონეს.

ფართოდ ნაჩვენებია ლენინგრადის ფაბრიკის „კრასნოე ზნამიას" პროდუქცია. ფაბრიკამ გამოჰგზავნა თათმან-წინდისა და თეთრეულის ნაწარმთა მრავალგვარი ასორტიმენტი. შალის ტრიკოტაჟის ზედა ტანსაცმელი გამოგზავნა როზა ლუქსემბურგის სახელობის ფაბრიკამ (ზაგორსკი, მოსკოვის ოლქი), ბამბეულის ტრიკოტაჟი და ხელოვნური შალის ნაწარმი — ძერჟინსკის სახელობის ფაბრიკამ (ივანტეევკა, მოსკოვის ოლქი).

დათვალიერება 10 დღეს გასტანს. ჟიურის მიერ მოწონებული ნიმუშების წარმოება დაიწყება 1941 წელს. (საკდესი).

21 ნოემბერს, **საღ. 9 საათზე,** საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სალექციო დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 33/35) პარტაქტივისათვის შესდგება პროფესორ კ. ბაქრაძის ლექცია რუსულ ენაზე.

თემა **„იდეების როლი საზოგადოების განვითარებაში".**

შესვლა მისაწვევი ბილეთებით.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

დაღისტნის ასსრ 20 წლისთავის დღესასწაული

მახაჩ-ყალა, 17 ნოემბერი (საკდესი). დღეს დაღისტნის ასსრ მშრომელებმა ზეიმით იდღესასწაულეს რესპუბლიკის 20 წლისთავი. მახაჩ-ყალაში სტალინის სახელობის მოედანზე გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 30 ათასი კაცი. შემდეგ დაიწყო დემონსტრაცია. ტრიბუნას ჩაუქროლეს ცხენოსანმა მთიელებმა, ჩაუარეს მოწაფეთა, ნავსადგურის მუშათა, მეკონსერვეთა, მეთევზეთა, რკინიგზელთა სადღესასწაულოდ მორთულმა კოლონებმა. ყველგან მოსჩანდა ალისფერი დროშები, დიდძალი ყვავილები. დემონსტრანტებს აღმართული ჰქონდათ პორტრეტები ამხანაგ სტალინისა, რომელმაც 20 წლის წინათ გამოაცხადა დაღისტნის ავტონომია.

დემონსტრაციის შემდეგ ზეიმით გაიხსნა რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საპატიო დაფა, რომელზედაც შეტანილია 29 კოლმეურნეობა და ბუინაკის მტს-ი.

ჩრდილოეთ ოსეთის მშრომელთა დღესასწაული

ორჯონიკიძე, 17 ნოემბერი (საკდესი). დღეს ჩრდილოეთ ოსეთის მშრომელნი აღნიშნავდნენ ისტორიულ თარიღს — ამხანაგი სტალინის მიერ მთიელთა რესპუბლიკის ავტონომიის დეკლარაციის გამოქვეყნების დღეს.

ოსეთის აულებში, სოფლებსა და ქალაქებში აგიტატორები უამბობენ ხალხს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დეკლარაციას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მთიელ ხალხთა ახალ ცხოვრებას.

დღეს ქალაქის თეატრში შესდგა პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საზეიმო კრება, რომელიც იუბილეს მიეძღვნა. მოხსენებით გამოვიდა პარტიის ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მაზინი. კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმების წერილი ამხანაგ სტალინისადმი.

არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკის ვ. დ. გრენდალის დაკრძალვა

16 ნოემბერს გარდაცვლილი პროფესორის, არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკის ვ. დ. გრენდალის ცხედარი დასვენებულ იქნა თავდაცვის სახალხო კომისარიატის კლუბში. აქ ორი უკანასკნელი დღის განმავლობაში მოდიოდნენ მოსკოველები, რათა უკანასკნელი პატივი ეცათ წითელი არმიის გამოჩენილი არტილერისტისათვის.

განსვენებულის კუბოსთან საპატიო ყარაულში იდგნენ სსრკ და რსფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, წითელი არმიის გენერალიტეტის წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირის გმირები, გამოჩენილი მეცნიერნი, სამხედრო აკადემიების მსმენელნი, დედაქალაქის ფაბრიკებისა და ქარხნების სტახანოველები.

18 ნოემბერს, 14 საათზე, დარბაზში შესვლა შესწყდა. კუბოსთან დარჩნენ განსვენებულის მეგობრები და ნათესავები. 15 საათზე ვ. დ. გრენდალის ცხედარი კვარცხლბეკიდან გადმოიღეს. დარბაზს სამგლოვიარო მელოდია მოეფინა. საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. ი. კულიკმა, არმიის გენერალმა ი. ვ. ტიულენევმა, არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკმა ნ. ნ. ვორონოვმა, გენერალ-ლეიტენანტმა ი. ვ. სმოროდინოვმა და წითელი არმიის გენერალიტეტის სხვა წარმომადგენლებმა კუბო შესავალ კარებთან ჩაიტანეს და დაასვენეს ქვემეხის ლაფეტზე, რომელიც მორთული იყო ცოცხალი ყვავილებით. სამგლოვიარო კორტეჟი კრემატორიუმისაკენ გაემართა ქვეითი, ცხენოსანი და საარტილერიო ნაწილების თანხლებით.

კრემატორიუმში შესდგა სამგლოვიარო მიტინგი. არტილერიის გენერალ-ლეიტენანტმა ა. კ. სივკოვმა დამსწრეთ გააცნო ვ. დ. გრენდალის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი დიდი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა არტილერიის დარგში, მისი ღვაწლი, რომელსაც არასოდეს არ დაივიწყებს საბჭოთა ხალხი. ვ. დ. გრენდალის მოწაფეთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა პოლკოვნიკმა ამხ. სოროკინმა.

სამგლოვიარო მიტინგის შემდეგ მოხდა კრემაცია. (საკდესი).

1941-წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსპონატები

სოხუმი, (საქდესი). აფხაზეთის კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი გამალებით ემზადებიან 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის. მიმდინარეობს გამოფენის ექსპონატების შერჩევა. სოხუმის რაიონის სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობა „ეშერი“ შესანახავად შეარჩევს ახალი მოსავლის 15 ათას ცალ მაღალხარისხოვან ლიმონსა და 10 ათას ცალ ფორთოხალს.

სოხუმის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის სპეციალურ სათბურებში იზრდება 40 თავი ყვავილოვანი კომბოსტო, რომლის მოსავალსაც კოლმეურნეობა 1941 წლის მაისში აიღებს და გაგზავნის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

საქგუმბრინმა წლიური გეგმა შეასრულა

წყალტუბო (საკ. კორ.). „საქგუმბრინის“ წარმოების მუშაკთა კოლექტივმა ვადაზე ადრე გაანაღდა წინასაოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. 1940 წლის საწარმოო გეგმა, ნაცვლად 5 დეკემბრისა, როგორც ეს აღებული ვალდებულებით იყო გათვალისწინებული, 16 ნოემბერს შეასრულა და ქვეყანას მისცა 3.415.700 მანეთის პროდუქცია, რაც დავალების 101,4 პროცენტს შეადგენს.

ქართლის რაიონების პრესის მუშაკთა თათბირი

18 ნოემბერს „კომუნისტის“ რედაქციაში შესდგა ქართლის რაიონული გაზეთების რედაქტორთა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ძირეული პრესის მუშაკთა აქტივის თათბირი. თათბირს დაესწრნენ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, გორის, ხაშურის, ქარელის, კასპის, მცხეთის, თბილისის, დუშეთის, ყაზბეგის, თეთრი წყაროს და თიანეთის რაიონული გაზეთების რედაქტორები, გორის, კასპის, ქარელის და მცხეთის მტს-ების, ბრეთის საბჭოთა მეურნეობის კედლის გაზეთების რედაქტორები და თბილისის რაიონული გაზეთის მუშაკები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ს. თარხანოვმა, ვ. კიკნაძემ (საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი), ამხ. შ. ალაპიშვილმა (საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე), პროფ. ნ. კეცხოველმა, პროფ. ნ. ხომეზურაშვილმა (საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), ი. აბაშიძემ (საქართველოს მწერალთა კავშირი), პ. რაზმაძემ და ვლ. ჯაფარიძემ (საქმიწსახკომი).

თათბირმა მოისმინა ამხ. ვ. ხატიაშვილის მოხსენება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებაზე ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ და პრესის ამოცანებზე.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ დიდ ამოცანებზე, რომელნიც ქართლის რაიონების ბოლშევიკური პრესის მუშაკთა წინაშე დგანან პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილებასთან დაკავშირებით. გაზეთებმა ღრმად უნდა შეისწავლონ რაიონის ეკონომიკა, დარაზმონ თავიანთ გარშემო პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირული და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და მოწინავე ადამიანთა აქტივი და მთელი თავიანთი მუშაობა გარდაჰქმნან რაიონული გაზეთების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 20 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე.

მთელი სიმკვეთრით უნდა დავაყენოთ რაიონული და ძირეული პრესის მუშაობის გაუმჯობესების საკითხი. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს გაზეთის ფურცლებზე მოწინავე ადამიანთა მდიდარი გამოცდილების ჩვენებას და მიაღწიონ იმას, რომ მოწინავეთა გამოცდილება ყველას კუთვნილებად გახდეს; ამავე დროს უნდა ვამხილოთ შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში, ხელი შევუწყოთ შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევას, სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ურყევად განხორციელებას.

ქართლის რაიონული გაზეთები და ძირეული პრესა საამაყო მაჩვენებლებით უნდა წარსდგნენ მომავალ გამოფენაზე. ამისათვის პირველ რიგში საჭიროა ყოველმხრივ დავეხმაროთ კედლის გაზეთებს მუშაობის ახლებურად მოწყობაში. რაიონულმა გაზეთებმა უნდა მოათავსონ მათი მიმოხილვები, გააუმჯობესონ დაუსწრებელი სწავლება და პრაქტიკულად დაეხმარონ პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის დადგენილების მრავალფეროვნად გაშუქებაში. უდიდესი მნიშვნელობა აქვს პრესის მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, რამაც უნდა უზრუნველჰყოს ქართლის რაიონული გაზეთების მიერ მათს წინაშე მდგომი ამოცანების სასახელოდ შესრულება.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ამხ. კ. ტრაპაიძემ (გაზ. „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორმა) ილაპარაკა იმ დიდ საწარმოო აღმავლობაზე, რომელიც სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებში გამოიწვია პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის დადგენილებამ. მან წამოაყენა წინადადება, რომ გაზეთებმა მოაწყონ მეზობელი რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება. ამხ. ა. სულაბერიძემ (ქარელის რაიგაზეთის რედაქტორი) აღნიშნა, რომ პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის დადგენილების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა გაზეთში სპეციალისტებისა და სოფლკორების მონაწილეობა, გაზეთმა დადგენილების განხილვასთან დაკავშირებით მოაწყო კოლმეურნეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება. ამხ. ნ. ჩადუნელმა (კასპის რაიგაზეთის რედაქტორი) თათბირის მონაწილეებს უამბო, რომ უკანასკნელად გაზეთმა გააძლიერა შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების ჩვენება, და ხაზი გაუსვა რაიონულ გაზეთებში მეცნიერული ძალების მონაწილეობის საჭიროების საკითხს.

ამხ. ა. ქირიამ (თბილისის რაიგაზეთის რედაქტორი) თათბირს გაუზიარა თბილისის რაიონული გაზეთის მუშაობის გამოცდილება.

პროფ. ნ. კეცხოველმა თავის სიტყვაში ილაპარაკა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ოქტომბრის დადგენილების განხორციელებასთან დაკავშირებით პრესაში — კერძოდ რაიონულ გაზეთებში სოფლის მეურნეობის სპეციალისტების და მეცნიერ მუშაკების აქტიურ მონაწილეობას. მან მოუწოდა ქართლის რაიონების პრესის მუშაკებს 15 ოქტომბრის დადგენილებაში დასახულ საკითხებთან ერთად სერიოზულად გააშუქონ ტყეების გაშენება-დაცვის და ქარსაფარების მოწყობის საკითხები.

პროფ. კეცხოველი საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახელით შეჰპირდა თათბირის მონაწილეებს, რომ ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები ყოველმხრივ დაეხმარებიან ქართლის რაიონულ გაზეთებს 15 ოქტომბრის დადგენილებიდან გამომდინარე საკითხების საფუძვლიანად გაშუქებაში, მიაწვდიან მათ მეცნიერული ხასიათის პოპულარულ წერილებს აგრონომიულ საკითხებზე.

პროფ. ნ. ხომეზურაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგჯერ რაიონული გაზეთები დროულად ვერ იძლევიან სიგნალებს აგროწესების დარღვევაზე. რაიონულმა გაზეთებმა თვალყური უნდა ადევნონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხოვნად შესრულებას და სოფლის მეურნეობის მავნებლების და მცენარეთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაუთმონ.

ამხ. პ. რაზმაძემ ილაპარაკა გაზეთების ამოცანებზე წყალთა მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ფერგანული მეთოდის ფართოდ გამოყენებისა და სარწყავი არხების წესიერი ექსპლოატაციის დარგში.

ამხ. ირ. აბაშიძემ განაცხადა, რომ 15 ოქტომბრის დადგენილებამ მწერლებსა და პოეტებში უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია და ისინი მზად არიან ქართლის რაიონების მშრომელთა ენერგიული მუშაობა დადგენილების განხორციელებისათვის ასახონ მხატვრული სიტყვით. ამხ. აბაშიძე რაიონული გაზეთების მუშაკებს შეჰპირდა, რომ მწერლები და პოეტები ამ საკითხზე მიაწვდიან მათ ლექსებს, ნარკვევებს და სხვ.

ამხ. ს. თარხანოვმა თავის სიტყვაში რაიონულ გაზეთებს დაუსახა მთელი რიგი საბრძოლო ამოცანები პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის დადგენილების ღრმად გაშუქებისათვის. კერძოდ, დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა კედლის გაზეთებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერების, დაუსწრებელი სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და გაზეთში მაღალხარისხოვან მასალების ბეჭდვის საჭიროებაზე.

ამხ. შ. ალაპიშვილმა განაცხადა, რომ რაიგაზეთების მუშაკები სერიოზულად უნდა მოეპყრან ახალი აქტივის მოზიდვას, ახალი საკითხების წამოყენებას პრესის ფურცლებზე. სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკებმა პრესის მუშაკებთან ხელიხელ ჩაკიდებულებმა უნდა იმუშაონ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. პ. ხარატიშვილმა (გორის მტს-ის კედლის გაზეთის რედაქტორი), ნ. ხეთაგურმა (დუშეთის რაიგაზეთის რედაქტორი), გ. ცუცქირიძემ (ხაშურის რაიგაზეთის რედაქტორი) და ი. ბექანიშვილმა (თიანეთის რაიგაზეთის რედაქტორი).

თათბირზე წამოყენებულ იქნა წინადადება სოციალისტურ შეჯიბრებაში კოლხიდის ზონის რაიონების პრესის მუშაკთა გამოწვევის შესახებ.

თათბირმა მოიწონა ეს წინადადება და სოცშეჯიბრების მოწყობაზე მიიღო კოლექტიური წერილი კოლხიდის ზონის რაიონებს პრესის მუშაკებისადმი.

გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“

გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“ გამოდიოდა თბილისში 1905 წლის 20 ნოემბრიდან 14 დეკემბრამდე რუსულ ენაზე. სულ გამოვიდა 17 ნომერი. აქედან 15 ნომერი გამოვიდა აღნიშნულ სახელწოდებით, ხოლო მე-16 და მე-17 ნომერი „ელისავეტპოლსკი ვესტნიკის“ სახელწოდებით.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“ იბეჭდებოდა თამამშევის გამომცემლობაში. რედაქცია მოთავსებული იყო ველიამინოვის (ამჟამად ფედერაციის) ქუჩაზე № 7.

გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ მთელს მუშაობას ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი. გაზეთში სისტემატურად იბეჭდებოდა ამხანაგ სტალინის თეორიული ხასიათის სახელმძღვანელო სტატიები ხელმოუწერლად.

გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ პირველ ნომერში დაბეჭდილ რედაქციის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ის არის „რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ორგანო და ემსახურება მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს“, ამასთან ერთად „გამოაკვლევს მეცნიერული სოციალიზმის თვალსაზრისით მუშათა კლასის საჭიროებასა და ინტერესებს, მუშათა კლასის საბოლოო მიზანსა და უახლოეს ამოცანებს...“

რა იყო პროლეტარიატის უახლოესი ამოცანა?

„საერთაშორისო ჟანდარმის“ — მეფის თვითმპყრობელობის დამხობა და დემოკრატიული წყობილების დამყარება — ასეთი იყო პროლეტარიატის უახლოესი ამოცანა. ამ ამოცანების განხორციელება წარმოადგენდა უახლოეს და საიმედო გზას სოციალისტური რევოლუციისათვის. ეს უახლოესი ამოცანა პროლეტარიატს უნდა გადაეჭრა შეიარაღებული აჯანყების გზით.

მაგრამ, როგორც ცნობილია, გაკოტრებული მენშევიკები სასტიკად ილაშქრებდნენ ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების საკითხში. მათ წამოაყენეს მუშათა კლასის განიარაღების ლოზუნგი: „ჩვენ არ გვინდა იარაღი, ძირს იარაღიო“. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა გვიჩვენეს შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში ლენინური ხაზის ცხოვრებაში გატარების საუკეთესო ნიმუშები. „რა გვესაჭიროება ჩვენ, — იძლეოდა კითხვას ამხანაგი სტალინი, — რომ მართლა გავიმარჯვოთ? ამისათვის საჭიროა სამი რამ: პირველი, რაც ჩვენ გვესაჭიროება, — შეიარაღება, მეორე — შეიარაღება, მესამე — კიდევ და კიდევ შეიარაღება“.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით „გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ ყოველი ნომერი ღრმად აშუქებდა მკითხველთა ფართო მასების წინაშე ბრძოლის უახლოეს პერსპექტივებს. მან ბრწყინვალედ დარაზმა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი და რევოლუციური გლეხობა სტალინური ლოზუნგების ცხოვრებაში გატარებისათვის.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკში“ ტაქტიკურ საკითხებზე დაბეჭდილი თეორიული სტატიების ძირითად ტაქტიკურ დებულებას წარმოადგენდა იდეა პროლეტარიატის ჰეგემონიისა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში: „თბილისი 1905 წ. 20 ნოემბერს“, ნათქვამია, რომ პროლეტარიატი წარმოადგენს „...რუსეთის რევოლუციის ტიტანს... ყველა ძალებით, ყველა საშუალებებით“.

გაზეთი ბრწყინვალედ იცავს აღნიშნულ სტატიაში ლენინურ მოძღვრებას გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის შესახებ, როგორც „... ყოვლისშემძლეს“ და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების აუცილებელ პირობას. „რუსეთის რევოლუციის მსვლელობა და დაბოლოვება, — ნათქვამია სტატიაში, — მთლიანად დამოკიდებულია რევოლუციური პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის მოქმედებაზე“.

სტალინური ორგანო „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“ ხალხის ძლევამოსილ შეიარაღებულ აჯანყებას სთვლიდა უმნიშვნელოვანეს საშუალებად ცარიზმის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვებისათვის.

მე-14 ნომრის მოწინავე სტატიაში „უკანდახევა არ შეიძლება!“ შეიარაღებული აჯანყების შესახებ ნათქვამია: „მასობრივი პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც მოედო თითქმის მთელ რუსეთს, ბრძოლის ხამდვილ რევოლუციურ იარაღს წარმოადგენს... მაგრამ მხოლოდ საკმაო არ არის იმ მიზნების მისაღწევად, რომლებსაც ახლა პროლეტარიატი და საერთოდ რევოლუციური ხალხი ისახავს: თვითმპყრობელობის დასამხობად, მონარქიის მოსასპობად და დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად.

ჩვენ უნდა მივმართოთ რევოლუციური ბრძოლის მეორე იარაღს, რომლის გამოყენება პროლეტარიატის თანაბრად შეუძლიათ რევოლუციური ხალხის არაპროლეტარულ ფენებსაც. თვითმპყრობელობა გვაიძულებს მივმართოთ ბრძოლის საერთო-სახალხო საშუალებას: შეიარაღებულ აჯანყებას“. გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“ მეორე ნომრიდანვე მოუწოდებს მშრომელ მასებს შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა“ პირველი ნომრის მოწინავეშივე ზუსტად და გარკვევით ჩამოაყალიბა პროლეტარიატის რევოლუციური ამოცანები ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში.

ლენინი აუცილებელ საჭიროდ სთვლიდა სოციალ-დემოკრატების მონაწილეობას დროებითს რევოლუციურ მთავრობაში, ამ საკითხსაც გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“ ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით ლენინურად სწყვეტდა. სტატიაში „დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ“ (№ 7) ნათქვამია: „ჩვენ პრინციპულად მხარს ვუჭერთ სოციალ-დემოკრატების მონაწილეობას... რევოლუციურ მთავრობაში, რომელიც რევოლუციის პროდუქტს წარმოადგენს.“ აღნიშნულ სტატიაში აგრეთვე გარკვევით იყო ლაპარაკი დროებით რევოლუციური მთავრობის, როგორც „რევოლუციური ხალხის ორგანოს“, ამოცანებზე.

Кавказскій Рабочій Листокъ

Кавказскій РАБОЧІЙ ЛИСТОКЪ

Карлъ Марксъ

„Кавказскій Рабочій Листокъ“

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“ იცავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის თეორიას. სტატიაში „სოციალისტური საზოგადოების მიჯნაზე (№ 6 და № 9) მოცემულია რუსეთის პირველი რევოლუციის ხასიათისა და სოციალისტური რევოლუციაში მისი გადაზრდის საკითხების ბრწყინვალე გაშუქება. სტატიაში აღნიშნულია, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია შეზღუდოს თავისი რევოლუციური ამოცანები დემოკრატიული ამოცანების შესრულებით. პირიქით, მან უნდა წასწიოს რევოლუცია წინ, სოციალისტური რევოლუციისაკენ.

„რუსეთის დიდი რევოლუცია, — ნათქვამია სტატიაში, — უნდა იყოს მეორე, კიდევ უფრო დიდი — სოციალისტური რევოლუციის პროლოგი“.

რევოლუციის ტაქტიკურ საკითხებთან ერთად გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ ფურცლებზე სისტემატურად შუქდებოდა პარტიული ცხოვრების ყოველდღიური საკითხები. მის ფურცლებზე დაბეჭდილია მთელი რიგი თეორიული სტატიები და კორესპონდენციები, რომლებიც იძლევიან რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გმირულ წარსულის ნათელ სურათს. მასში მოთავსებული თეორიული სტატიებისა და კორესპონდენციების დიდი უმრავლესობა განმარტავს და ასაბუთებს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პროგრამულ და ტაქტიკურ საკითხებს მიმდინარე რევოლუციის ყველა ძირითადი მომენტისათვის. ეს სტატიები ასალკლდევებდნენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, რაზმავდნენ და იერიშისათვის ამზადებდნენ პროლეტარიატს და რევოლუციურ გლეხობას ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“ ბრწყინვალედ იცავდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პროგრამასა და ტაქტიკას ნაციონალურ საკითხში, მან უდიდესი როლი ითამაშა აგრეთვე ამიერ-კავკასიის ეროვნებათა ინტერნაციონალური დარაზმვისათვის. გაზეთის ყოველ გვერდს ამშვენებდა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების — მარქსის და ენგელსის ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“ ნიღაბს ხდიდა და აშკარავებდა მენშევიკების ტაქტიკურ ოპორტუნიზმს და დაუნდობლად ანადგურებდა მუშათა კლასის ყველა მტერს, ყველა მოღალატეს, რომლებიც ცდილობდნენ შარლატანური რეცეპტებით დეზორგანიზაცია შეეტანათ პროლეტარიატის რიგებში.

პარტიის ცენტრალური ლეგალური ორგანოს — ლენინურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნსა“ და „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკს“ შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ლენინის თეორიული სტატიები გაზ. „ნოვაია ჟიზნიდან“. ასევე „ნოვაია ჟიზნში“ სისტემატურად შუქდებოდა ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის საკითხები.

გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ წინააღმდეგ ცენზურამ პირველი ნომრიდანვე მიიღო რეპრესიული ზომები, მაგრამ მიუხედავად ჟანდარმერიისა და ოხრანკის მიერ მისი რედაქციის და სტამბის მრავალჯერ დარბევისა, მან იარსება მე-17 ნომრამდე.

გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“ გამოდიოდა რევოლუციის იმ პერიოდის ყველაზე გადამწყვეტ მომენტში. თავის არსებობის მანძილზე მან ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით უდიდესი როლი შეასრულა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცებისათვის, მათში ლენინური იდეების დანერგვისათვის.

გრ. ჟვანია.

მუსოლინის გამოსვლა

რომი, 18 ნოემბერი (საკდესი). სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ დღეს მუსოლინიმ სიტყვა წარმოსთქვა ფაშისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თათბირზე. თათბირს ფაშისტური დიდი საბჭოს წევრები და მთავრობის წევრებიც დაესწრნენ.

შეჩერდა რა 1939 წლის ომის წარმოშობის ისტორიაზე, მუსოლინიმ განაცხადა: ამ ომის მიზეზი ინგლისია, რამდენადაც მან უარჰყო გერმანიის მიერ შეთავაზებული ყველა წინადადება დაახლოების შესახებ. ომის მიმდინარეობის შესახებ მუსოლინიმ აღნიშნა, რომ ინგლისელები დამარცხდნენ ბრიტანეთის სომალში, ხოლო იტალიელებმა ელვისებრი ბრძოლით დაიკავეს სიდი-ბარანი, რაც „განხილულ უნდა იქნას არა როგორც დასასრული, არამედ როგორც დასაწყისი“. საზღვაო ფლოტი ხმელთაშუა და ადრიატიკის ზღვაში იტალიის კომუნიკაციებს იმდენად ეფექტიანად იცავს, რომ მტრის ფლოტმა მათი გარღვევა, ვერ შესძლო. იტალიის ავიაცია ჰაერში ბატონობდა და ბატონობს. რაც შეეხება თვითმფრინავებს, — სთქვა მუსოლინიმ, — იტალიის ქარხნები თვითმფრინავებს ერთიოთხად მეტს ამზადებენ, ვიდრე ომამდე. ახლო მომავალში, ახალი ტიპის თვითმფრინავების მასობრივი გამოშვების წყალობით, იტალია, უეჭველია, ისეთ მდგომარეობას მიაღწევს, როდესაც მისი თვითმფრინავები სხვა ქვეყნების უაღრესად თანამედროვე თვითმფრინავების თანაბარი იქნებიან. უნდა გვახსოვდეს, — სთქვა მუსოლინიმ, — რომ ომის ვითარებასთან დაკავშირებული შეზღუდვანი, რომლებიც ამჟამად ჯერ კიდევ ასატანია, მომავალში კიდევ უფრო მძიმე გახდება, ვინაიდან ახლანდელი ომი გადამწყვეტი ომია და იგი თანამედროვე კართაგენის — ინგლისის მოსპობით უნდა დამთავრდეს. ამას წინათ, — სთქვა მუსოლინიმ, — ინგლისელები იუწყებოდნენ ტარანტოზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის შედეგების შესახებ. მათი ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება, რამდენადაც „ნამდვილად ყუმბარა მოხვდა სამ გემს, მაგრამ არცერთი არ ჩაძირულა; როგორც საომარი მოქმედების ცნობაში ნათქვამი იყო, მხოლოდ ერთი მათგანი დაზიანდა და მისი აღდგენა საკმაოდ ხანგრძლივ დროს მოითხოვს. დანარჩენი ორი გემი კი, — ტექნიკოსების ერთსულოვანი განცხადებით სწრაფად შეიძლება შეკეთდეს და კვლავ მზად იყოს ბრძოლისათვის“. ინგლისელებს, — აღნიშნა მუსოლინიმ, — კარგი იქნებოდა ეცნობებინათ, თუ რა ბედი ეწია „ლივერპულს“, „კენტსა“ და ინგლისის სხვა ფრიად დიდს გემებს, რომლებიც ამას წინათ ტორპედირებულ იქნენ ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში და ალექსანდრიის ნავსადგურში იტალიის წყალქვეშა ნავების თუ ტორპედიანი თვითმფრინავების მიერ.

მუსოლინიმ განაცხადა: იტალიისა და გერმანიის კავშირი სულ უფრო მჭიდრო ხდება და სამხედრო, სამეურნეო, პოლიტიკური და სულიერი მოღვაწეობის ყველა დარგზე ვრცელდება. შემდეგ მუსოლინი შეეხო იტალია-საბერძნეთის ომის მიზეზებს და აღნიშნა: გერმანიის გენერალური შტაბის მიერ საფრანგეთში ნაპოვნი დოკუმენტებიდან სჩანს, რომ საბერძნეთმა ჯერ კიდევ 1940 წლის მაისში გადასცა ფრანგებსა და ინგლისელებს ყველა თავისი საზღვაო და საჰაერო ბაზა. საჭირო იყო, — განაცხადა მუსოლინიმ, — ბოლო მოეღებოდა ამ მდგომარეობას, რაც შესრულდა კიდევაც 28 ოქტომბერს, როდესაც იტალიის ჯარმა საბერძნეთ-ალბანეთის საზღვარი გადალახა. ცნობა საბერძნეთში ალპიური დივიზიის განადგურების შესახებ მუსოლინიმ უარჰყო და სთქვა, რომ ომის საბერძნეთის ასპარეზის ხასიათი ელვისებრი ომის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ომი ახლახან დაიწყო და იტალიას საკმაო ხალხი და საშუალება მოეპოვება იმისათვის, რომ საბერძნეთის ყოველგვარი წინააღმდეგობა გასტეხოს. ინგლისის დახმარება ხელს ვერ შეუშლის იტალიის ამ მტკიცე გადაწყვეტილების შესრულებას და ვერ აიცილებს ბერძნებს კატასტროფას.

იტალიაში, — განაცხადა მუსოლინიმ, — თოფქვეშ არის მილიონი კაცი. თუ საჭირო იქნება, იტალიას კიდევ 8 მილიონის გაწვევა შეუძლია.

დასასრულ, მუსოლინიმ დასვა საკითხი ომის პირობებში ფაშისტური პარტიის მუშაობის შესახებ.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 19 ნოემბერი. გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: „ჩვენმა ორმა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მტრის 8 შეიარაღებული სავაჭრო გემი 45.220 სარეგისტრო ბრუტო-ტონა საერთო წყალწყვისა.

17 ნოემბერს, ღამით, და გუშინ, დღისით, გერმანიის ავიაციამ, ლონდონს გარდა, ყუმბარები დაუშინა საუთჰემპტონის სანავსადგურო და სამრეწველო ნაგებობებს, აგრეთვე სამხედრო ქარხნებს ცენტრალურ ინგლისში. იტალიის მოპიკირე ყუმბარმშენები წარმატებით დაესხნენ თავს ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროს ერთერთ ქალაქს.

ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროსთან ჩაძირულ იქნა ორი სავაჭრო გემი თითო 3 ათასი სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა და ძლიერ დაზიანდა კიდევ სამი გემი. ინგლისის რამდენიმე თვითმფრინავის ღამით თავდასხმა გერმანიის ტერიტორიაზე უშედეგოდ დამთავრდა. ჩვენს ავიაციას ზარალი არ მოსვლია“.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 19 ნოემბერი (საკდესი). როგორც ავიაციის სამინისტრო გადმოგვცემს, 18 ნოემბერს, ღამით, გერმანიის თვითმფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოჰყარეს მდინარე მარსეის ხეობაში, ინგლისის ცენტრალურ რაიონებსა და სამხრეთ ინგლისის მრავალ ადგილას. მატერიალური ზარალი და მსხვერპლი უმნიშვნელოა. ბევრ პუნქტში ყუმბარების აფეთქებამ მრავალ ადგილას ხანძარი გამოიწვია, რაც მალე იქნა ლიკვიდირებული.

ამასთან ერთად იუწყებიან, რომ ინგლისის ყუმბარმშენი ავიაცია თავს დაესხა ელბასანს (ალბანეთი). ყუმბარები დააყარეს სამხედრო საწყობებს, ყუმბარები დასახულ სამიზნეს მოხვდა და სამ ადგილას ხანძარი გამოიწვია.

ლონდონი, 19 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 18 ნოემბერს, ღამით, ინგლისის ყუმბარმშენთა მცირე შენაერთები თავს დაესხნენ შუაგულ გერმანიაში მდებარე ნავთსაცავებს.

საბერძნეთის სარდლობის ცნობა

ათენი, 19 ნოემბერი (საკდესი). საბერძნეთის არმიის უმაღლესმა სარდლობამ შემდეგი ცნობა გადმოგვცა: „ეპირსა და კორჩის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში 18 ნოემბერს კვლავ გააფთრებული ბრძოლა გაიმართა, რის შედეგადაც დაკავებულ იქნა პოზიციები, რომლებსაც მტერი გაშმაგებით იცავდა. მტრის ჯარი, რომელიც წინათ კალამასის სამხრეთ მდინარების რაიონში შემოიჭრა, უკუგდებულია ჩრდილოეთისაკენ. ჯარის იმ ნაწილებმა, რომლებიც მტრის ტერიტორიის სიღრმეში მიიწევენ, ერსეკსა და ბოროტაში მოსპეს საომარი მასალისა და საწვავის საწყობები და ტყვედ ჩაიგდეს რამდენიმე კაცი.

ფრონტის ხაზზე გამართული საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულია იტალიის 9 თვითმფრინავი. საბერძნეთის ორი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

ჩვენმა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა აეროდრომს არგიროკასტრონში და მტრის სალაშქრო კოლონებს.

იტალიის თვითმფრინავებმა უშედეგოდ დაუშინეს ყუმბარები ქალაქ პრევეზას“.

ამერიკის ცნობები საბერძნეთში წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ

ნიუ-იორკი, 19 ნოემბერი. იუნაიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, საბერძნეთის ჯარი, რომელიც მოროვის მთიდან უტევდა, გუშინ ბრძოლით შევიდა კორჩაში და ქალაქის ნაწილი დაიკავა.

ათენის რადიოსადგურმა გამოაცხადა, რომ ბერძნებმა განდევნეს იტალიელები მთის პოზიციებიდან. დაკავებულია კიდევ რამდენიმე სიმაღლე. 18 ნოემბრის განმავლობაში ჩამოგდებულ იქნა იტალიის 10 თვითმფრინავი. საბერძნეთის ჯარის შეტევა ყველა სექტორში გრძელდება. ბერძნებმა სავსებით გასწმინდეს მაღლობები ფლორინის სექტორში. ათენის რადიო გადმოგვცემს, რომ საბერძნეთის ჯარი ამჟამად ინარჩუნებს იმ ხაზს, რომელიც კორჩასა და ერსეკს შორის გადის ალბანეთის ტერიტორიაზე.

იტალიელებმა ცეცხლი წაუკიდეს სოფელ მბორიას, რის შემდეგ დასტოვეს იგი და კორჩიდან სამხრეთისაკენ იხევენ.

იტალიის ქვეითმა ჯარმა მოპიკირე ყუმბარმშენთა დახმარებით უშედეგოდ მიიტანა იერიში ბერძნების პოზიციებზე კორჩის მახლობლად. საბერძნეთისა და ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს იტალიის ჯარით გაჭედილ გზებს კორჩის რაიონში.

ნიუ-იორკი, 19 ნოემბერი. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, იუგოსლავიის საზღვრის მახლობლად საბერძნეთისა და ინგლისის 12 თვითმფრინავმა ბრძოლა გაუმართა იტალიის 15 თვითმფრინავს. ჩამოგდებულია იტალიის ორი თვითმფრინავი. გუშინ ბიტოლში სამჯერ გამოცხადდა საჰაერო განგაში, მაგრამ ქალაქს ავიაცია თავს არ დასხმია.

გამოურკვეველი ეროვნების ორმა თვითმფრინავმა ყუმბარები ჩამოყარა მდინარე ზეტში დანილოვგრადის მახლობლად. ცოტა უფრო გვიან ამ თვითმფრინავთაგან ერთი მთებში დაიმსხვრა. (საკდესი).

იტალიის სარდლობის ცნობა

რომი, 19 ნოემბერი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება:

„გუშინ ეპირის ფრონტზე გააფთრებული ბრძოლა სწარმოებდა, რომლის შედეგად ორივე მხარის პოზიციები არ შეცვლილა. მტერმა ერთი სოფელი დაიკავა. ჩვენმა საჰაერო შენაერთებმა გააფთრებით დაუშინეს ყუმბარები და ტყვიამფრქვევი იმ ადგილებს, სადაც მტრის ჯარი იყო თავმოყრილი. ჩამოგდებულია მტრის 3 თვითმფრინავი. ჩვენი ერთი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

მტერი ცდილობდა დაეკავებინა გაიდაროს კუნძული, რომელიც დოდეკანეზის არქიპელაგის შემადგენლობაში შედის, მაგრამ უკუგდებულ იქნა.

ჩრდილოეთ აფრიკაში ჩვენმა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მტრის საავიაციო ნაგებობებსა და ყაზარმებს სივის ოაზისთან. მნიშვნელოვნად დაზიანდა ყველა ობიექტი. მტრის თვითმფრინავებმა ყუმბარები დააყარეს ტობრუკსა და ბარდიას. მსხვერპლი და ზარალი არ ყოფილა. სოლუმში ბომბარდირების შედეგად მოკლულია 3 და დაჭრილია 5 კაცი.

აღმოსავლეთ აფრიკაში მტერი თავს დაესხა აგორდატს, კორონდილს, ბუნასა და გერილეს, რომლებისათვის მნიშვნელოვანი ზიანი არ მიუყენებიათ“.

ომი აფრიკაში

ლონდონი, 19 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ, საღამოს, ინგლისის მსუბუქმა სამხედრო-საზღვაო გემებმა კვლავ დაუშინეს ყუმბარები დანტეს (იტალიის სომალი). ძლიერ დაზიანდა ნავთის ცისტერნები, საზენიტო ბატარეები და სანავსადგურო ნაგებობანი.

18 ნოემბერს, ღამით, ინგლისის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ბენგაზს, სოლუმს, ბარდიასა და ტობრუკს. (საკდესი).

დომეი ცუსინის სააგენტო ტაისა და საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ჯარებს შორის მომხდარი შეტაკების შესახებ

ტოკიო, 19 ნოემბერი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, რომ კვლავ ხდება ტაის თვითმფრინავთა მიერ საფრანგეთის ინდო-ჩინეთის საზღვარზე გადაფრენის შემთხვევები. ტაის ჯარს შეტაკება ჰქონდა საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ჯართან პაქსეს რაიონში (ლაოსის პროვინცია). ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. არსებული ცნობების თანახმად, შეტაკება ვიენ-ტიანის გარშემოც ხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაცვალებიდან 30 წლისთავის გამო

ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი

კრასნაია პოლიანა

აი კრასნაია პოლიანაც!

მოკრძალებით მივადექით ტოლსტოის მამულის კარს, მარცხნით შესავალთან მდებარეობს ის ტბა, სადაც დიდი მწერალი მუშაობის შემდეგ ისვენებდა და ზოგჯერ თევზაობდა.

კარგა გრძელი ხეივნები უნდა გაიარო, ვიდრე სახლამდე მიხვალ. აქ ორი სახლი დგას.

— რომელია, გეთაყვა, ტოლსტოის სახლი-მუზეუმი? — ვეკითხებით სათვალებიან ახალგაზრდას.

— ორივე, გვიპასუხა მან,—მაგრამ ჯერ იქ მიბრძანდით, პირველად ის სახლი ნახეთ—მიგვითითა მარცხნით მდებარე სახლისაკენ.

ამ სახლის პირველ ოთახში მოთავსებულია ლენინის პორტრეტი, რეპინის ორი სურათი და გორკის პორტრეტი ცხრაასიანი წლებისა. მეორე ოთახში ყურადღებას იპყრობს სერგეევისა და ანდრეევის ქანდაკებები; შემდეგ ოთახში ნაჩვენებია ტოლსტოის მთელი ოჯახის შემადგენლობის სურათები. აქ ყველაზე მეტად იპყრობს ყურადღებას ის, იმ დროისათვის მეტად დიდი ციფრი—7.780 მანეთი, რაც ყოველწლიურად იხარჯებოდა ნიკოლოზ ტოლსტოის შვილების სწავლაზე. საშუალო ცოდნა, როგორც ყველა სხვამ, ისე ლევმაც გუვერნიორებისაგან მიიღო ოჯახში. იგი თხუთმეტი წლისა ყოფილა, 1843 წელს ყაზანის უნივერსიტეტში რომ შესულა (დაიბადა 1828 წლის 28 აგვისტოს ძვ. სტ.) აქ ჯერ სწავლობდა აღმოსავლურ ფაკულტეტზე, შემდეგ იურიდიულზე, მაგრამ არ დაუმთავრებია. დასტოვა უნივერსიტეტი და იასნაია პოლიანაში ხელი მიჰყო სოფლის მეურნეობას.

პირველი ნაწარმოები, რომელიც „სოვრემენიკში" 1852 წელს დაიბეჭდა, იყო „ბავშვობა"; სტაროგლადკოვსკაიას სტანიცაში მას იმავე წელს დაუწყია „ყაზახების" წერა. ოთახში წარმოდგენილია ამ ნაწარმოებთა ექსპონატები.

1857 წლიდან მწერალი გაემგზავრა საზღვარგარეთ. იყო გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, შვეიცარიაში. ამ მოგზაურობის ამსახველ ექსპონატებში მოცემულია ის სიღარიბე და უსამართლობა, რასაც ტოლსტოი ხედავდა.

მთელი ოთახი აქვს მიძღვნილი ტოლსტოის პედაგოგიური მოღვაწეობის ამსახველ ექსპონატებს. 1862 წლიდან, როდესაც იგი საბოლოოდ სოფელში გადასახლდა და ცოლად სოფიო ანდრიას-ასული ბერსი შეირთო, ხელი მიჰყო პედაგოგობას თავის მიერ ჯერ კიდევ 1859 წელს დაარსებულ სკოლაში. ტოლსტოი ამ დროს სწერს წერილებს პედაგოგიკაზე და ეხმარება ათზე მეტ სკოლას. მას ხუმრობით აქაურ განათლების კომისრად გვაცნობენ და მიგვითითებენ იმ დიაგრამაზე, სადაც აღნიშნულია ათი სკოლა, რომელთაც ტოლსტოი ეხმარებოდა ფულით, რვეულებით, სახელმძღვანელოებით და გაკვეთილებზე პირადი დასწრებით.

1862 წელს ტოლსტოი მეფის ჯალათებმა გაჩხრიკეს და მრავალი ხელთნაწერი, შესწორებები, წარწერები, სხვადასხვა შენიშვნები ისე აუფორიაქეს, რომ შემდეგ მწერალი დიდხანს ეწვალა მათ წესრიგში მოსაყვანად. სახლის ქვემო სართულში, სადაც წინათ სანოვაგეს ინახავდნენ, ტოლსტოის თავისი ლიტერატურული მუშაობის მეორე ნახევარში ერთი ოთახი გამოუყვია სამუშაოდ. ეს იმისათვის გააკეთა, რომ მორიდებოდა ხმაურობასა და მნახველებს, რომლებიც მას ძალიან აწუხებდნენ, განსაკუთრებით საზღვარგარეთელი, დაუპატიჟებელი, ცნობისმოყვარე სტუმრები.

ამ ოთახში მას დაუწერია „ომი და მშვიდობიანობა", „ანა კარენინა", „აღდგომა" და სხვა თავისი გენიალური ნაწარმოებები. ამ საკუჭნაო ოთახში მოცემულია ექსპონატები, რომლებიც ასახავენ იმ დევნა-შევიწროვებას, რაც ტოლსტოიმ მეფის მთავრობისა, თავადაზნაურებისა და სამღვდელოებისაგან განიცადა.

თავისი ცხოვრების ბოლო წლებში მწერალს ოჯახში უთანხმოება ჰქონია. ის მოითხოვდა მთელი ქონების ნახევრის გლეხებისათვის გადაცემას, ოჯახის წევრები და განსაკუთრებით კი მეუღლე, სოფიო ანდრიას-ასული, ამის წინააღმდეგნი ყოფილან. მოხუცი მწერალი ამ გარემოებამ სახლიდან გაქცევამდე მიიყვანა. საინტერესოა ის ოთახი, სადაც მოთავსებულია ეტლი, რომლითაც იგი 1910 წლის 28 ოქტომბერს (ძვ. სტილით) ღამით გაიპარა სახლიდან. იქვეა ის ფანარი, რომელიც გზას უნათებდა 82 წლის მოხუცს და მის განუყრელ მეგობარს ექიმ მაკოვიცკის, რომელიც მას სიკვდილამდე არ მოშორებია; იქვეა სურათი იმ ოთახისა სადგურ ასტაპოვოს (ახლა ლევ ტოლსტოის), სადაც იგი 20 ნოემბერს გარდაიცვალა.

— აი ეს უამრავი წიგნები 25 კარადაში ძლივს ეტევა, 21.315 წიგნი და ჟურნალებია ამ კარადებში მოთავსებული. წიგნები 30 სხვადასხვა ენაზეა; ტოლსტოის უგზავნიდნენ საზღვარგარეთელი გამომცემლები თითო ცალს, — გვიხსნის გამყოლი.

შემდეგ ოთახში, რომელსაც მუსიკალურ ოთახს უწოდებენ, მოთავსებულია შოპენის და ტანეევის პორტრეტები. აქ ორი როიალი დგას. ს. ტანეევი, რომელიც ჩვენი გენიალური კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის მასწავლებელი იყო, ტოლსტოის ოჯახის დიდი მეგობარი ყოფილა. ამ ოთახში ხშირად იმართებოდა კონცერტები, ლიტერატურული კითხვა და სხვ.

დავასრულეთ ამ ისტორიული სახლების დათვალიერება, სადაც გენიოს მწერალს გაუტარებია სიცოცხლის უდიდესი ნაწილი.

როცა საფლავს ვუახლოვდებოდით, გვეგონა ვნახავდით დიდ ძეგლს, ისეთს, როგორიც ამ ბუმბერაზ მწერალს შეეფერება, მაგრამ იქ დაგვხვდა უბრალო ძველებური „კურგანი" ფაქიზი ბალახით დაფარული. ისიც, მისი სურვილის თანახმად, უბრალოდ არის გაკეთებული.

ეს არის მწერლის საფლავი.

ლ. გეგეჭკორი.

ლ. ნ. ტოლსტოის უკანასკნელი დღეები

სარკმელი გაიღო. ვიღაცამ ტირილით წარმოსთქვა:

— გარდაიცვალა!

— პატარა სახლთან მდგომმა ადამიანებმა ქუდი მოიხადეს. ვიღაცა წაბარბაცდა. მას ხელი სტაცეს და სახლში შეიყვანეს.

დილის 6 საათი და 5 წუთი იყო. გარეთ მოღუშული, სევდის მომგვრელი შემოდგომა იყო. სადგურის ტელეგრაფისტი აკანკალებული ხმით კითხულობდა მისთვის ახლადგადაცემულ ტელეგრაფის ბლანკს:

„მსოფლიოს მზე ჩაესვენა! ლამაზი სიცოცხლე ჩაჰქრა! რუსეთმა უდიდესი შვილი დაჰკარგა, მსოფლიომ უდიდესი მოქალაქე დაჰკარგა!".

...ჩვენ იასნაია პოლიანის ძველებური სახლის ოთახში ვართ და ვისმენთ ამ სახლის ერთერთი უხუცესი მცხოვრების, სერგი ივანეს-ძე შჩეგოლევის ამაღელვებელ მოთხრობას.

ნოემბრის ბნელ და ცივ ღამეში დიდი მწერალი გავიდა თავისი სახლიდან, სადაც იგი 70 წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა. გავიდა სამუდამოდ. რამდენიმე დღის შემდეგ იგი აქ თავდაჭედილი კუბოთი მოასვენეს...

ლენინი სწერდა: „გარდაიცვალა ლევ ტოლსტოი. მისი მსოფლიო მნიშვნელობა, როგორც ხელოვანისა, მისი მსოფლიო პოპულარობა, როგორც მოაზროვნისა და მქადაგებლისა, ერთიც და მეორეც, თავისებურად ასახავენ რუსეთის რევოლუციის მსოფლიო მნიშვნელობას". (რუს. გამოც. ტ. XIV გვ. 400).

გულში ჩამწვდომია გორკის შემდეგი სიტყვები:

„მოკვდა ლევ ტოლსტოი.

მიღებულია დეპეშა, და იქ უაღრესად ჩვეულებრივი სიტყვებით ნათქვამია—გარდაიცვალაო.

გული გამისქდა. შეურაცხყოფილი და დარდით შეპყრობილი ავღრიალდი, და აი, თითქოს ნახევრადშეშლილს, წარმომიდგება იგი ისე, როგორც ვიცნობდი და მინახავს,—მძაფრად გსურს ილაპარაკო მის შესახებ".

გარემომცველი წრის საზიზღრობის შეგნებით ტანჯულმა 82 წლის მწერალმა, ბოლოსდაბოლოს, გადასწყვიტა სამუდამოდ გაეწყვიტა კავშირი თავისი ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებთან.

და აი, გადაწყვეტილება მიღებულია. თავის ერთგულ, თავდადებულ მეგობარ ექიმთან მაკოვიცკისთან ერთად ტოლსტოი ფარულად სტოვებს იასნაია პოლიანას. აკანკალებული ხელით ცოლსა სწერს: ...„გაიგე და მენდე, რომ სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო. ჩემი მდგომარეობა სახლში აუტანელი ხდება—უკვე აუტანელი გახდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე აღარ შემიძლია ფუფუნების იმ პირობებში ცხოვრება, რომლებშიც ვცხოვრობ".

ორი დღის შემდეგ კი ირკვევა: ტოლსტოი გზაში მძიმედ გამხდარა ავად. იგი ჩამოუყვანიათ მატარებლიდან რიაზან-ურალის გზის პატარა, მივარდნილ სადგურ ასტაპოვოში და სადგურის უფროსის ოზოლინის ბინაში მოუთავსებიათ. დიდი მწერლის სიცოცხლე საფრთხეშია.

პირველნი ამოძრავდნენ ოხრანკა, პოლიცია, უმაღლესი მოხელენი. მათთვის ტოლსტოი დიდი ხელოვანი როდია, რუსი ხალხის დატანჯული შვილი როდია. მეფის მოხელეებისა და ოხრანიკებისათვის ტოლსტოი, უწინარეს ყოვლისა, „ამბოხე გრაფია, საშიში და შეურიგებელი მტერია, მეფის სიცრუისა და ძალადობის მამხილებელია. მომაკვდავი ტოლსტოი არანაკლებ და, შესაძლოა, უფრო საშიფათოცაა, ვიდრე ცოცხალი ტოლსტოი...

სასწრაფოდ იღებენ „ზომებს". ყოველ კუთხეში აფრინეს დაშიფრული დეპეშები. სადგურ ასტაპოვოსაკენ მიჰქრიან ჟანდარმთა როტმისტრები, გუბერნატორები, პოლიციის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი. ტელეგრაფი ზედიზედ იღებს და გადასცემს შემდეგ დაშიფრულ ბრძანებებს: „ასტაპოვოს გაიგზავნოს 5 ჟანდარმი", „უნტერ-ოფიცერი გრიცინინი გაემგზავროს ასტაპოვოს, თან წაიღოს შაშხანები და ვაზნები". „უნტერ-ოფიცრები სერეგინი და დიკინი ჩავიდნენ ასტაპოვოს იარაღითა და ვაზნებითურთ". რიაზანის გუბერნატორი ბრძანებს: „მიიღეთ ზომები და არ შეუშვათ ახლო-მახლო მოსახლეობა ასტაპოვოში, სადაც ავადმყოფი ტოლსტოი წევს. გზებში ჩაფრები დაგზავნეთ, რათა უკან გააბრუნონ ასტაპოვოს მიმავალნი. იმ შემთხვევაში თუ იგი მოკვდა, მზად იყავით, რათა იქ მთელი ძველი რაზმი გაგზავნოთ". თითქოს, მთელი ჩინოვნიკური რუსეთი მზად არის ამხედრდეს იმის წინააღმდეგ, ვინც მიყრუებულ ასტაპოვოს სადგურში ნელნელა ეთხოვებოდა სიცოცხლეს.

აურზაური ასტეხა საეკლესიო ხროვამაც. „მართლმადიდებელი ეკლესიიდან განკვეთილი" გრაფი ტოლსტოი, რომელსაც განკვეთის აქტის თანახმად, „საეკლესიო ალსარებაზე" უარი ეთქვა, მეფის ბნელეთის მოციქულთათვის უეცრად უდიდესი „სულიერი მზრუნველობის" ობიექტად იქცა. „უწმინდესმა" შავრაზმელებმა ამ მომენტში დაივიწყეს, თუ როგორ გამოეხმაურა ტოლსტოი თავის განკვეთას. იგი მაშინ სწერდა: „დავრწმუნდი, რომ ეკლესიის მოძღვრება თეორიულად სწორი არ არის და საზიანო სიცრუეა, პრაქტიკულად კი ტლანქ ცრურწმენათა და ჯადოქრობის თაიგულია... მე, მართლაც, განვუდექ ეკლესიას და შევწყვიტე მისი წესების შესრულება და ჩემს მახლობელთათვის დატოვებულ ანდერძში დავწერე, რომ, როცა სიკვდილის პირას მივალ, ეკლესიის მსახურნი ჩემთან არ მოუშვან". ახლა კი მიტროპოლიტი ანტონი პეტერბურგიდან დეპეშით ემუდარება მომაკვდავ ტოლსტოის „ყური ათხოვოს ღვთის ხმას". „უწმინდესობა" სწორედ ასე სწერს თავის მიმართვაში: „ეკლესიასთან თქვენ მიერ კავშირის გაწყვეტის პირველი მომენტიდანვე მე განუწყვეტლივ ვლოცულობდი და ვლოცულობ, რათა უფალმა ეკლესიის წიაღში დაგაბრუნოთ. შეურიგდით ეკლესიას და მართლმადიდებელ რუს ხალხს".

სადგურ ასტაპოვოში „ზიარებით" ჩამოდიან ოპტის სავანის იღუმენი ვარსონოფი და მთავარ-დიაკონი პანტელეიმონი. სულიერი კომივოიაჟორები ფუსფუსებენ, ვაგზლის ბუფეტიდან პლატფორმისაკენ გარბიან, იქიდან სადგურის სახლისაკენ მიიშურებიან, ისევ უკან ბრუნდებიან, ტოლსტოის ყველა ნათესავს, ყველა ჩამოსულს თავს აბეზრებენ. ხუცები ყოველგვარ ხრიკს მიმართავენ, რომ შეასრულონ სინოდის დავალება — „დააბრუნონ ტოლსტოი მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში". ვიღაც „ცენტრიდან" ვაგონს მოითხოვს, რომ ასტაპოვოში ტამბოვის ეპისკოპოსი კირილე ჩავიდეს.

იმ დღეებში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი სწერს:

„უწმინდესმა მამებმა ეს არის განსაკუთრებული საზიზღარი საძაგლობა ჩაიდინეს. მომაკვდავს ხუცები მიუგზავნეს, რათა ხალხი მოეტყუებინათ და ეთქვათ — ტოლსტოიმ „მოინანიაო" (რუსული გამოცემის ტომი XIV. გვ. 402).

მთელი რუსეთი გულისფანცქალით ადევნებს თვალყურს იმას, თუ რა ხდება სადგურ ასტაპოვოში.

ყოველ 15-20 წუთში დეპეშები იგზავნება პეტერბურგის, მოსკოვის და პროვინციულ გაზეთებში. ადგილობრივ ბეჭდავენ სასწრაფო ბიულეტენებს მწერლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. რუსეთის ყოველი კუთხიდან უაღრესად მივარდნილი ადგილებიდანაც კი, მოდის გულამოუყუებელი დეპეშები, სადაც რჩევას იძლევიან, თუ როგორ უქიმონ მწერალს.

დადგა 1910 წლის 20 (7) ნოემბრის ღამე. 1 საათსა და 10 წუთზე კორესპონდენტები დეპეშით იუწყებიან: „გული დაუსუსტდა, ცუდად არის". 17 წუთის შემდეგ „რუსკიე ვედომოსტის" კორესპონდენტი დეპეშით სასწრაფოდ იძლევა გაფრთხილებას — „მზად იყავით". ოჯახი, რომელიც ვაგონში ათევს ღამეს, სახლში დაიბარეს. დასასრული მოახლოვებულია. ყველანი ეზოში არიან. შეშინებულნი იყურებიან ფანჯარაში, სადაც წყნარად ჰქრება დიადი, ლამაზი სიცოცხლე.

დილის 6 საათსა და 5 წუთზე ტოლსტოი გარდაიცვალა.

ჟანდარმებს მრავალი საზრუნავი მოემატა. როტმისტრი სავიცკი დაუყოვნებლივ ჰგზავნის დეპეშას: „ტოლსტოი გარდაიცვალა. გააძლიერეთ ხაზი". სავიცკის დასახმარებლად სასწრაფოდ იგზავნება კიდევ 15 უნტერ-ოფიცერი. ჟანდარმთა ოფიცერი ტელეგრაფით მოითხოვს — „განამზადონ გამოცდილი ცენზორები საფლავთან წარმოსათქმელი სიტყვების შესამოწმებლად". რიაზანის გუბერნატორი შინაგან საქმეთა მინისტრს მოახსენებს, რომ „პირადად გასინჯავს ტოლსტოის კუბოსთან მიტანილ ყველა გვირგვინს და ჩამოართმევს შეუფერებელი წარწერების მქონე ლენტებს".

ვაგზალზე ბერი ვარსონოფიც ფუსფუსებს. მისთვის ჯერ კიდევ ყველაფერი როდია დაკარგული. საჭიროა მხოლოდ ტოლსტოის ოჯახიდან ვინმემ დაადასტუროს, რომ განსვენებული სიკვდილის წინ გამოსთქვამდა ეკლესიასთან შერიგების სურვილს. ვარსონოფი ამ შინაარსით ყველას თავს აბეზრებს. ხარბად აშტერდება თანამოსაუბრეთ, მაგრამ ამაოდ. არავინ არ უდასტურებს. ასტაპოვოში ჩადის ტულის ეპისკოპოსი პართენი. ტოლსტოის სიკვდილს რომ გაიგებს, ეპისკოპოსი ვაგონიდან არ ჩამოდის და უკან ბრუნდება. „ღვთის მისია" ვერ შესრულდა: ტოლსტოი ისე მოკვდა, რომ „ცოდვები არ მოუნანიებია".

...ტოლსტოი დაკრძალულია იასნაია პოლიანაში, ხევთან „სტარი ზაკაზში", ხრამის პირას. საფლავს მრავალი წლის განმავლობაში პირადად მეთვალყურეობს სერგი ივანეს-ძე შჩეგოლევი. საფლავის გარშემო სიწყნარეა. მხოლოდ შემოდგომისებურად შრიალებენ ხეები. ცისაკენ აღმართული საფლავის ერთგული დარაჯი — ჩაფიქრებული ორასწლოვანი მუხა...

ი. როდინი.

იასნაია პოლიანა,
1940 წ.



ტოლსტოი, როგორც მხატვარი, ცნობილია უმნიშვნელო უმცირესობისათვის რუსეთშიც კი. მისი დიადი ნაწარმოები ნამდვილად რომ ყველას კუთვნილება გავხადოთ, საჭიროა ბრძოლა და ბრძოლა ისეთი საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, რომელმაც მილიონებსა და ათეულ მილიონებს არგუნა უმეცრება, დაბეჩავება, კატორღული შრომა და სიღატაკე, საჭიროა სოციალისტური გადატრიალება.

და ტოლსტოიმ არამარტო მოგვცა მხატვრული ნაწარმოები, რომლებსაც ყოველთვის დააფასებენ და იკითხავენ მასები, როდესაც ისინი შეიქმნიან ცხოვრების ადამიანურ პირობებს, დაამხობენ რა მემამულეებისა და კაპიტალისტების უღელს, — მან შესძლო თანამედროვე წესწყობილებით დაჩაგრული ფართო მასების განწყობილების შესანიშნავი ძალით გადმოცემა, მათი მდგომარეობის დახატვა, პროტესტისა და აღშფოთების მათი სტიქიური გრძნობის გამოხატვა. ეკუთვნოდა რა, უმთავრესად, 1861-1904 წლების ეპოქას, ტოლსტოიმ განსაცვიფრებლად რელიეფურად განასახიერა თავის ნაწარმოებებში — როგორც მხატვარმაც, და როგორც მოაზროვნემ და მქადაგებელმაც — რუსეთის მთელი პირველი რევოლუციის ისტორიული თავისებურების ნიშნები, მისი ძალა და მისი სისუსტე.

* * *

მოკვდა ტოლსტოი, და წარსულს ჩაბარდა რევოლუციამდელი რუსეთი, რომლის სისუსტე და უძლურება გამოიხატა გენიალური მხატვრის ფილოსოფიაში, დასურათებულია მის ნაწარმოებებში. მაგრამ მის მემკვიდრეობაში არის ის, რაც წარსულს არ ჩაბარებია, რაც მომავალს ეკუთვნის. ამ მემკვიდრეობას იღებს და ამ მემკვიდრეობაზე მუშაობს რუსეთის პროლეტარიატი. იგი განუმარტავს მშრომელთა და ექსპლუატირებულთა მასებს ტოლსტოის მიერ სახელმწიფოს, ეკლესიის, მიწის კერძო საკუთრების კრიტიკის მნიშვნელობას — არა იმისათვის, რომ მასები სჯერდებოდნენ თავიანთ სრულყოფას და ღვთიური ცხოვრების ნატვრას, არამედ იმისათვის, რომ ისინი აღსდგნენ ახალი მახვილის ჩასაცემად მეფის მონარქიისა და მემამულეთა მიწათმფლობელობისათვის, რომლებიც 1905 წელს მხოლოდ ოდნავ იყვნენ შერყეულნი და რომლებიც უნდა მოისპონ.

ვ. ი. ლენინი — „ლ. ნ. ტოლსტოი".

ლ. ნ. ტოლსტოის ხსოვნის საღამოები მოსკოვში

დედაქალაქის საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების 30 წლისთავს. საწარმოებში, კლუბებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში იმართება დიდი რუსი მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოაწყო ვ. ვ. ვერესაევის საღამო-ლექციათა ციკლი და სალიტერატურო - სამხატვრო საღამო, რომელზედაც მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის არტისტებმა შეასრულეს „ანა კარენინას" და „აღდგომის" ნაწყვეტები. ლექციები და საღამოები გაიმართა სოკოლნიკის, როსტოკინისა და ფრუნზეს რაიონების ლექტორიუმებში და სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში.

უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის მოსკოვის საოლქო კომიტეტი ლექციებს ჰმართავს წითელი არმიის ნაწილებში.

იასნაია პოლიანა. სახლი, სადაც ცხოვრობდა ლ. ნ. ტოლსტოი.

ვ. ჟდანოვი

ლევ ტოლსტოი

(გარდაცვალების 30 წლისთავისათვის)

> „ტოლსტოის თუ არ იცნობ—არ შეგიძლია ჩასთვალო თავი ჩვენი ქვეყნის მცოდნედ, არ შეგიძლია ჩასთვალო თავი კულტურულ ადამიანად".
>
> **გორკი.**

თავის მოგონებებში ლენინზე ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი ამბობდა:

„ერთხელ მასთან მივედი და ვხედავ: მაგიდაზე გადაშლილია „ომისა და მშვიდობიანობის" ტომი.

— დიახ, ტოლსტოია! ნადირობის სცენის წაკითხვა მომინდა...

ღიმილით მოჭუტა თვალები, სავარძელში სიამოვნებით გაიჭიმა და დაბალი ხმით სწრაფად განაგრძო:

— როგორი კლდეა, ჰა? რა ბუმბერაზი კაცია! აი, ბიძიავ, მხატვარი ამასა ჰქვიან... მერე, — იცით, კიდევ რა არის განსაცვიფრებელი? ამ გრაფამდე ლიტერატურაში ნამდვილი გლეხი არ ყოფილა.

შემდეგ თვალებმოჭუტულმა შემომხედა და მკითხა:

— ვინ შეიძლება შევადაროთ მას ევროპაში?

თავის თავს უპასუხა:

— არავინ.

და კმაყოფილმა ხელების ფშვნეტით გაიცინა. მე არაერთხელ შემიმჩნევია მასში რუსული ხელოვნების სიამაყე".

ლევ ტოლსტოი ლენინისათვის იყო არა მარტო საყვარელი მწერალი, არა მარტო სიტყვის დიდი მხატვარი: იგი ლენინისათვის იყო რუსი ხალხის სულიერ ძალთა ცოცხალი განსახიერება, მისი უსაზღვრო შემოქმედებითი ძლიერების დადასტურება. ლენინმა ტოლსტოის უძღვნა შვიდი სპეციალური სტატია. ამ სტატიებში მთელი ძალით არის ცხადყოფილი დიდი რუსი მწერლის მსოფლიო მნიშვნელობა, ახსნილია მისი შემოქმედების წინააღმდეგობანი და კანონზომიერებანი.

ტოლსტოი სამწერლო ასპარეზზე გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოვიდა. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა თითქმის სამოც წელს გრძელდებოდა. ტოლსტოის მიერ დროის ამ დიდ მანძილზე შექმნილი ნაწარმოებნი, რომლებიც კლასიკური ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდნენ, ჩვენთვის წარსულის შემეცნების უშრეტ წყაროს წარმოადგენენ. ტოლსტოის ნაწარმოებებში ასახულია ძველი რუსეთის ცხოვრებას ყველა მხარე: პატრიარქალური სოფლის ზნე-ჩვეულებანი, ბატონყმური წყობილების რღვევა, პოლიტიკური ამბები, საზოგადოების მაღალი კლასების ყოფაცხოვრება. იგი „საუცხოოდ იცნობდა, — სწერდა ლენინი,—რუსეთის სოფელს, მემამულისა და გლეხის ყოფაცხოვრებას. მან თავის მხატვრულ ნაწარმოებებში მოგვცა ამ ყოფაცხოვრების ისეთი გამოსახულებანი, რომლებიც მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს ეკუთვნიან" (ლენინი ტ. XIV, გვ. 405).

* * *

ტოლსტოის გზას ახასიათებს ცხოვრების სიმართლის მგზნებარე ძებნა. უკვე ნიკოლენკა ირტენიევი — „ბავშვობისა" და „ყრმობის" პატარა გმირი — მიდის სოციალური უსამართლობის შეგნებამდე, გარემო სამყაროს ანალიზამდე. ტოლსტოის შემდგომ ნაწარმოებებში ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობის მოტივი კიდევ უფრო მკაფიოდ ჟღერს.

თავის გმირებთან ერთად— ოლენინთან „კაზაკებიდან", პიერთან „ომიდან და მშვიდობიანობიდან". ნეხლიუდოვთან „მემამულის დილიდან" და „აღდგომიდან", ლევინთან „ანნა კარენინადან" ტოლსტოი განაგრძობს თავის დაძაბულ ძებნას. ამის შესახებ საუცხოოდ ამბობს გორკი:

„60 წელს დადიოდა რუსეთში თავადი ნეხლიუდოვი და ყველგან შეიხედავდა ხოლმე: სოფელში და სოფლის სკოლაში, ვიაზმის ლავრაში და საზღვარგარეთ, საპყრობილეებში, ეტაპებში, მინისტრების კაბინეტებში, გუბერნატორების კანცელარიებში, ქოხებში, სასტუმრო-ბაკებში და არისტოკრატი ქალების სასტუმრო ოთახებში".

მაგრამ „სიმართლეს" ვერსად ვერ პოულობდა. იგი არ იყო არც „გაუბრალოებაში", არც რელიგიაში, არც მეურნეობის წარმოებაში. ნეხლიუდოვთან ერთად ათვალიერებდა რა რუსეთის ყველა კუთხეს, მწერალი მიხვდა, რომ სიმართლე არც შეიძლება იყოს იმ სამყაროში, სადაც მეფობს თვითნებობა და ჩაგვრა. ამას რომ მიხვდა, ტოლსტოი დარწმუნდა მემამულური წყობილების შინაგან უვარგისობაში და მგზნებარე კრიტიკით დაესხა თავს ამ წყობილების ყველა წარმონაშობს ეკონომიურსა და სოციალურ დარგში.

ამ გამანადგურებელ კრიტიკაში, რომელიც ხალხის უკმაყოფილების ზრდას ასახავდა, ლენინი ხედავდა ტოლსტოის, როგორც „რუსეთის რევოლუციის სარკის", მნიშვნელობას. მწერლის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ დაწერილ სტატიაში ლენინმა მოგვცა უღრმესი დახასიათება ტოლსტოის შემოქმედების კავშირისა მისი დროის საზოგადოებრივ მოძრაობასთან. ტოლსტოიმ, ლენინის სიტყვით, მოგვცა არა მარტო მხატვრული ნაწარმოებები, რომლებსაც მუდამ დააფასებენ და იკითხავენ მასები, როდესაც შეიქმნიან ცხოვრების ადამიანურ პირობებს, დაამხობენ რა მემამულეთა და კაპიტალისტთა უღელს, — მან შესძლო შესანიშნავი ძალით გადმოეცა თანამედროვე წყობილების მიერ დაჩაგრული ფართო მასების განწყობილება, დაესურათებინა მათი მდგომარეობა, გამოეხატა პროტესტისა და აღშფოთების მათი სტიქიური გრძნობა. ეკუთვნოდა რა, უმთავრესად, 1861-1904 წლების ეპოქას, ტოლსტოიმ განსაცვიფრებლად რელიეფურად განასახიერა თავის ნაწარმოებებში — როგორც მხატვარმაც, და როგორც მოაზროვნემ და მქადაგებელმაც — რუსეთის მთელი პირველი რევოლუციის ისტორიული თავისებურების ნიშნები, მისი ძალა და მისი სისუსტე" (ლენინი. ტ. XIV, გვ. 400).

ტოლსტოის ძალა მდგომარეობდა მის სიძულვილში „თანამედროვე ცხოვრების მესვეურთადმი", მისი, როგორც რეალისტი მხატვრის, დიდ ოსტატობაში, რომელმაც შეჰქმნა რუსული ცხოვრების ისტორიულად მართალი სურათები. ტოლსტოის სისუსტეს შეადგენდა „ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობის" ქადაგება.

ლენინმა გვიჩვენა, რომ წინააღმდეგობანი ტოლსტოის შეხედულებებში იყო ანარეკლი „იმ უაღრესად რთული, საწინააღმდეგო პირობებისა, სოციალური გავლენებისა, ისტორიული ტრადიციებისა, რომლებიც განსაზღვრავდნენ რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა კლასებისა და სხვადასხვა ფენების ფსიქოლოგიას რეფორმისშემდგომს, მაგრამ რევოლუციამდელ ეპოქაში" (იქვე, გვ. 402). ეს ეპოქა გარდამავალ ხასიათს ატარებდა. პატრიარქალურ-ბატონყმური წყობილება ირღვეოდა და ახალ, კაპიტალისტურ ურთიერთობას უთმობდა ადგილს.

ლენინი სწერდა, რომ ბატონყმური მონობისა და ჩაგვრის საუკუნეებმა გლეხობაში „სიძულვილის, გაბოროტებისა და თავგანწირული სიმტკიცის" მთები დააგროვეს. გლეხობა მიისწრაფოდა „ერთად ცხოვრების ახალი ფორმებისაკენ". ტოლსტოის შემოქმედება იყო სარკე ამ სტიქიური პროტესტისა, რომელიც შექმნა „რუსეთის მილიონიან გლეხობას რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუციის დადგომის დროისათვის" (ლენინი. ტ. XII, გვ. 333). ტოლსტოის ამ მილიონებთან ერთად სძულდა მემამულეები და ჩინოვნიკები, რომელნიც ხალხს კისერზე ასხდნენ. იგი გაბედულად გამოდიოდა მთავრობის რეაქციულ ღონისძიებათა წინააღმდეგ, ამხილებდა სიცრუესა და პირმოთნეობას, რომლებითაც გაჟღენთილი იყო მეფის რუსეთის გაბატონებული კლასების მთელი ცხოვრება. ტოლსტოის პუბლიცისტური სტატიები და პამფლეტები, რომლებიც ამხილებდნენ ეკლესიასა და ხუცობას, მეფის მართლმსაჯულებისა და მართვა-გამგეობის კომედიას, იბეჭდებოდა არალეგალურ და საზღვარგარეთის გამოცემებში. ცენზურა კრძალავდა და სდევნიდა ტოლსტოის ისეთ მთავრობისსაწინააღმდეგო ბროშურებს, როგორიც იყო „ნიკოლაი პალკინი", „მიმართვა რუსი ადამიანებისადმი", „ვერ გავჩუმდები" და სხვ.

მაგრამ ბურჟუაზიულ - მემამულური რეჟიმის კრიტიკაში ტოლსტოი იზიარებდა გლეხური პროტესტის მოუმწიფებლობასაც, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულიყო ამ რეჟიმთან შეგნებულ, თანმიმდევარ, შეურიგებელ ბრძოლამდე. ტოლსტოიმ არ იცოდა, სად იყო ნამდვილი გზა სამყაროს გარდაქმნისაკენ, არ იცოდა, სად ეძებნა პასუხი კითხვებზე, რომლებიც მას აწუხებდა. ასახავდა რა გლეხური მოძრაობის სისუსტეს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ხელმძღვანელობდა მუშათა კლასი, ტოლსტოი ქადაგებდა ხელისაღებას ბრძოლის ძალმომრეობითს ხერხებზე, ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაწევაზე, მოუწოდებდა ზნეობრივი სრულყოფისაკენ. ამაში იყო ტოლსტოის მოძღვრების ჩვენთვის უცხო და მავნე თვისება, რომელიც დიდიხანია უკუგდებული და დაგმობილია ისტორიის მიერ.

* * *

ხალხის თემა ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა ტოლსტოის შემოქმედებაში. ეს თემა მთელი სიგრძე-სიგანით პირველად დაყენებული იყო „სევასტოპოლის მოთხრობებში", რომლებიც დაიწერა ყირიმის ომის (1854-1856 წლები) შთაბეჭდილებით, რომლის მონაწილე იყო თვით ტოლსტოი, მაშინ ახალგაზრდა ოფიცერი და დამწყები მწერალი. ამ შესანიშნავ მოთხრობებში ომი ნაჩვენებია თავისი ნამდვილი სახით, უპარადებოდ და უმუსიკოდ, უდროშებოდ და უგენერლებოდ. სევასტოპოლის მამაცი დამცველები, ჯარისკაცები და მატროსები გვევლინებიან სამშობლოს უსაზღვროდ ერთგულ, ნამდვილ პატრიოტებად. ჯარისკაცებისა და მატროსების ნამდვილ გმირობას მწერალი უპირდაპირებს არისტოკრატიიდან გამოსული ოფიცრების მოჩვენებით სიმამაცესა და ბაქიობას.

სახალხო ომის თემა ტოლსტოიმ საფუძვლად დაუდო თავის უდიდეს ნაწარმოებს — ისტორიულ რომანს „ომი და მშვიდობიანობა". გრანდიოზულ სურათებში აქ მოცემულია ნაპოლეონის შემოსევის დროის რუსეთის ცხოვრება. მკითხველის წინაშე გაივლის მომქმედ პირთა უდიდესი რიცხვი, სახეების დაუსრულებელი წყება: მეფეები, მხედართმთავრები, ოფიცრები, ჯარისკაცები, გლეხები, პარტიზანები, მემამულეები, მასონები, ქალაქის მცხოვრებლები... რომენ როლანის აზრით, „პორტრეტების ამ გალერიას ბადალი არ მოეძებნება ევროპის მთელ ლიტერატურაში".

რომანის აურაცხელ გმირებს არა მარტო სახელები აქვთ დარქმეული: ესენი არიან ცოცხალი ადამიანები, თავიანთი ინდივიდუალური თვისებებით, თვითეული მათგანი სამუდამოდ რჩება მეხსიერებაში მკითხველს. ტოლსტოი პორტრეტის, ფსიქოლოგიური დახასიათების უდიდესი ოსტატია. ძალიან ცოტა მწერალი შეედრება მას ადამიანის ცოცხალი სახის გამოკვეთაში, უბრალო ჩვეულებრივი სიტყვებით ურთულესი სულიერი განცდების გადმოცემაში.

ცალკეულ ადამიანთა ხასიათზე ყურადღებით დაკვირვებას, გმირების შინაგანი სამყაროს გულმოდგინედ ასახვას რომანში ექსოვება საუცხოოდ გაკეთებული მასობრივი სცენები; საკმარისია გავიხსენოთ ბოროდინოს ბრძოლის, შენგრაბენის ბრძოლის შესანიშნავი აღწერა, პარტიზანული ომის სურათები.

რომანის ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს მის პატრიოტულ პათოსში. მხატვარმა გვიჩვენა ნაციონალური თვითშეგნების მძლავრი აღმავლობა, გვიჩვენა სიდიადე ხალხისა, რომელიც აღსდგა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ და მკერდით დაიცვა სამშობლოს დამოუკიდებლობა.

ნაპოლეონის განთქმული სამხედრო გენია უძლური აღმოჩნდა სამშობლოს დაცვის სამართლიანი იდეით აღფრთოვანებული ხალხის წინაშე.

* * *

ტოლსტოის შემდგომ დიდ ნაწარმოებში, „ანნა კარენინაში", რომელიც 70-იანი წლების შუახანებში დაიწერა, უაღრესად მკაფიო გამოხატულება ჰპოვა რუსეთში კაპიტალიზმის გაჩენის ეპოქამ. ლენინი ტყუილად კი არ იმოწმებს სწორედ „ანნა კარენინას" და ამ გარდამავალ ეპოქას ახასიათებს რომანის ერთერთი გმირის სიტყვებით, რომელიც ამბობს, რომ ახლა ყველაფერი „გადატრიალდა და მხოლოდ ეწყობაო". ლენინის აზრით, „ძნელია 1861-1905 წლების პერიოდის უფრო მახვილი დახასიათების წარმოდგენა" (ლენინი. ტ. XV, გვ. 100).

ტოლსტოის რომანი გვაძლევს რეფორმისშემდგომ რუსეთში სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავების შესანიშნავად სწორ სურათს, გვიხატავს თავადაზნაურობის გადაგვარებას, ოჯახის რღვევას, მემამულური მეურნეობის დაშლას — გარდამავალი ეპოქის ტიპიურ მოვლენებს.

რომანის გმირი ქალი ჰკუით, სილამაზით, გრძნობის ძალით დაჯილდოებული პიროვნებაა. იგი მთელი თავით მაღლა დგას იმ მაღალ საზოგადოებაზე, რომელიც მის გარშემოა. ამ წრის უარეს თვისებათა განსახიერებაა კარენინი — პირმოთნე, უგულო ფარისეველი, „ბოროტი მანქანა", როგორც მის შესახებ ანნა ამბობს. „მაღალი საზოგადოების" აზრით იგი „მორწმუნე, ზნემაღალი, პატიოსანი", ე. ი. ყოველმხრივ „წესიერი" კაცია. „მაგრამ ისინი ვერა ხედავენ იმას, რაც მე ვნახე, — ამბობს ანნა. — მათ არ იციან, რომ იგი რვა წლის განმავლობაში მიხრჩობდა სიცოცხლეს, მიხრჩობდა ყველაფერს, რაც კი ჩემში ცოცხალი იყო... მათ არ იციან, რომ იგი ყოველ ნაბიჯზე შეურაცხყოფას მაყენებდა და საკუთარი თავის კმაყოფილი რჩებოდა".

შინაგანი პატიოსნება ანნას ნებას არ აძლევს შეურიგდეს ასეთ ცხოვრებას. ანნაში იზრდება შეგ-

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

ინგლის-გერმანიის ომი

ინგლისური პრესა ინგლისისათვის მოსალოდნელი საჰაერო საფრთხის შესახებ

ლონდონი, 18 ნოემბერი (საქდესი). გაზეთ „სანდეი ტაიმსის" საავიაციო მიმომხილველი სწერს, რომ ინგლისის საჰაერო ძალების დამაიმედებელი მოქმედების მიუხედავად, ინგლისს მოელის დიდი საფრთხე საჰაერო ბლოკადისა, რომლის შექმნასაც მტერი ცდილობს. არსებობს ამ საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლის მხოლოდ ორი საშუალება: გემთა ქარავნის სამხედრო ესკორტის გაძლიერება და მტრის ავიაციის ბაზების ბომბარდირება. პირველი საშუალება ძნელი განსახორციელებელია საბადრაგო ხომალდების ნაკლებობის გამო, მეორე არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი, რადგან ძნელი განსახორციელებელია ამოცანა — არ მიეცეს მტრის ყუმბარმშენ ავიაციას მოქმედების საშუალება.

ყველაფრით სჩანს, რომ გერმანელები შორი რადიუსის მოქმედების ყუმბარმშენთა და ახალი მფრინავი ნავების ენერგიული გამოყენების გზით ცდილობენ სრულიად გააქარწყლონ მთელი ის დახმარება, რომელიც ინგლისს შეუძლია მიიღოს ამერიკიდან. ამჟამად ყველაზე მწვავე პრობლემა არის შორი რადიუსის მოქმედების ავიაგამანადგურებლის შექმნა.

სამხედრო მიმომხილველი ბოლდუინი საზღვაო ომის შესახებ

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი (საქდესი). ნიუ-იორკ ტაიმსის სამხედრო მიმომხილველი ბოლდუინი სწერს, რომ დამატებითი ამერიკული სამხედრო გემების გადაცემაც კი ვერ უზრუნველჰყოფს ინგლისის ბატონობას ზღვაზე. წარსული მსოფლიო ომის დასასრულს ინგლისს, რომელსაც უზარმაზარი სამხედრო ფლოტი ჰქონდა, დახმარებას უწევდა ამერიკის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის ფლოტი, მაგრამ მან მხოლოდ ომის უკანასკნელ თვეებში შესძლო უზრუნველეყო ბატონობა ზღვაზე. თუ მხედველობაში მივიღებთ გერმანიის მიერ ქვეყნების დაპყრობას და ინგლისის ახლანდელ საზღვაო ძლიერებას მოკავშირეთა 1917 წლის ძლიერებასთან შევადარებთ, აგრეთვე თუ გავიხსენებთ ჰაერიდან მოსალოდნელ ახალ საფრთხეს, ცხადი გახდება, რომ ზღვის ომი ერთობ ხანგრძლივი იქნება, მისი შედეგი კი გამოურკვეველია. ეს ომი ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს, რომლის წინაშეც ოდესმე მდგარა ინგლისი.

ამერიკის დახმარება ინგლისისადმი

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ინგლისის მთავრობამ შეთანხმებას მიაღწია, რათა დიდი სავაჭრო გემები იქნას აგებული ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანისა და ატლანტის სანაპიროზე. ფიქრობენ, რომ ამ გემების აგების დაკვეთებს მომავალ კვირაში გადასცემენ.

ინგლისისათვის განკუთვნილი გემების მშენებლობისათვის სპეციალურად გამოჰყოფენ რამდენიმე გემთმშენებელ საწარმოს, სადაც ააგებენ უმთავრესად სტანდარტული კონსტრუქციის 10 ათასი ტონა წყალწყვის სავაჭრო ხომალდებს.

ერთდროულად ინგლისის წარმომადგენლები ცდილობენ შეისყიდონ კერძო კომპანიების კუთვნილი 40 სავაჭრო გემი. ფიქრობენ აგრეთვე, რომ ინგლისელები შეეცდებიან იმ 19 სავაჭრო ხომალდის შესყიდვას, რომლებიც გამოყენებული იყვნენ ჯერ კიდევ წარსული ომის დროს.

კარგად ინფორმირებულ პირთა ცნობების თანახმად, ინგლისს, ომის განმავლობაში მიღებული დიდი დანაკლისის მიუხედავად, ამჟამად დაახლოებით 15 მილიონი ტონა საერთო წყალწყვის სავაჭრო ფლოტი მოეპოვება. მაგრამ ამ ფლოტის ეფექტიან გამოყენებას აძნელებს იმ გემების ნელი სვლა, რომლებსაც სამხედრო ხომალდები ჰბადრაგობენ, აგრეთვე ამ გემების რემონტისათვის საჭირო ხანგრძლივი დრო.

ტრანსპორტის მუშათა გაფიცვა

ლონდონი, 18 ნოემბერი (საქდესი). ტრანსპორტის მუშათა კავშირმა ოფიციალურად სცნო ლონდონში არსებული ამერიკული ელექტრო-კომპანია ლინკოლნის მუშათა გაფიცვა, მიუხედავად იმისა, რომ შრომის სამინისტროს წარმომადგენელმა ეს გაფიცვა უკანონოდ გამოაცხადა. ომის დაწყებიდან ეს პირველი გაფიცვაა, რომელიც პროფკავშირმა სცნო. გაფიცვის გამოცხადების მიზეზი იყო სამუშაოდან დათხოვნა პროფრწმუნებულისა, რომელმაც პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ადმინისტრაციამ უარი სთქვა ეცნო საჰაერო თავდაცვის ორგანიზაციაში პროფკავშირის მიერ მონაწილეობის მიღების უფლება.

ლევ ტოლსტოი

(დასასრული)

ნება ძველებურად ცხოვრების შეუძლებლობისა და იგი თავს ანებებს კარენინს. მან ჰპოვა თავისში იმდენი ძალა, რომ წინააღდგომოდა თავადაზნაურულ საზოგადოებას. მაგრამ მორალისა და მოვალეობის შესახებ ყალბი წარმოდგენებით გაჟღენთილ საზოგადოებას არ შეუძლია აპატიოს ანნას ეს თავისუფალი საქციელი. ასე იწყება მისი შეჯახება პირმოთნე „მაღალ საზოგადოებასთან", რაც ანნას ტრაგიკული დაღუპვით მთავრდება.

ტოლსტოის გენიალური რომანი შეიცავს იმ ძირმომპალი ოჯახური და საზოგადოებრივი ურთიერთობის მხილებას, რომელიც მემამულურ წრეში შეიქმნა.

* * *

ტოლსტოის იდეური კრიზისი დიდიხნიდან, თითქმის მისი პირველივე ნაწარმოებებიდან მწიფდებოდა. მაგრამ 80-იანი წლების დასაწყისისათვის მწერალმა საბოლოოდ დაჰგმო მაღალი კლასები, უარჰყო მემამულური მიწათმფლობელობა. ტოლსტოიმ თავი თვითმპყრობელური წყობილების მტრად იგრძნო.

რუსეთის სინამდვილის კრიტიკა განსაკუთრებული ძალით გამოხატულია ტოლსტოის რომანში „აღდგომა". მასში ოსტატურად დახატულია ხალხის ტანჯვა. მოგვითხრობს რა ხალხიდან გამოსული ქალის ბედზე, რომელიც მახინჯი სოციალური წყობილების მსხვერპლი გახდა, დიდი მხატვარი გადაგვიშლის მაშინდელი სახელმწიფოებრიობის იარებს. იგი ამხილებს მეფის სასამართლოს კომედიას მისი თვითნებობით; დასცინის ეკლესიას და რელიგიას მისი ფარისევლური წეს-ჩვეულებებითა და მოჩვენებითი კაცთმოყვარეობით. რომანი „აღდგომა" მთავარი საბაბი იყო იმისა, რომ „უწმინდესმა სინოდმა" ტოლსტოი ეკლესიიდან გარისხა და მწვალებლად გამოაცხადა.

თავის გამანადგურებელ კრიტიკაში ტოლსტოი, ლენინის განსაზღვრით, პატრიარქალური გლეხის თვალსაზრისს ადგა; ტოლსტოის ნაწარმოებებში გაისმოდა დამონებული ხალხის მრისხანე ხმა. მაგრამ მგზნებარებასა, გულწრფელობასა და უშიშროებასთან ერთად მწერალმა თავის კრიტიკაში გლეხური მოძრაობის ნაკლოვანებებიც გადაიტანა. ტოლსტოის შეხედულებათა ამ სუსტმა მხარეებმა ცხადად იჩინეს თავი „აღდგომაში" და უფრო შემდგომი პერიოდის სხვა ნაწარმოებებში („სიბნელის ძალაუფლება", „კრეიცერის სონატა" და სხვ.). მაგრამ ტოლსტოის, როგორც მხატვრის, ძალა იმდენად დიდი იყო, რომ რეალისტურ აღწერათა ბრწყინვის წინაშე იჩრდილებოდა მისი მორალურ-ფილოსოფიური დასკვნები და ქადაგებანი.

გორკი ამტკიცებდა, რომ ტოლსტოის ყველა „მხატვრული ნაწარმოები, რომლებიც დაწერილია საშინელი, თითქმის სასწაულებრივი ძალით, — ყველა მისი რომანი და მოთხრობა — ძირფესვიანად უარჰყოფს მის რელიგიურ ფილოსოფიას".

ტოლსტოის შემოქმედებითი ენერგია უშრეტი იყო. წლების მანძილზე მხატვრის ტალანტი არ სუსტდებოდა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როდესაც ტოლსტოიმ მთელი ყურადღება შეაჩერა ფილოსოფიურ საკითხებზე და ცდილობდა ჩამოშორებოდა ხელოვნებას, იგი საკუთარი თავისაგან მალვით სწერდა მოთხრობა „ჰაჯი მურატს", რომელშიც „ტოლსტოველობისა" არაფერია. ჰაჯი მურატის სახით გატაცებულმა ტოლსტოიმ შეჰქმნა თავისი ერთერთი საუკეთესო ნაწარმოები. მოთხრობაში გაბედულად არის მხილებული თვითმპყრობელობის დაპყრობითი პოლიტიკა, „ინოროდცების" სასტიკი დამონება, მეფე ნიკოლოზ I-ის არარაობა. მწერლის მთელი სიმპატია კავკასიელ მთიელთა მამაცი ბელადის მხარეზეა. ტოლსტოის კალამმა ჰაჯი მურატი გადააქცია ადამიანის გამბედაობის, მჩქეფარე ენერგიისა და სიცოცხლისადმი იმ სიყვარულის განსახიერებად, რომლითაც მუდამ ალსავსე იყო თვით მხატვარი.

ტოლსტოის უდიდესი შემოქმედებითი მემკვიდრეობა გვაოცებს თავისი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით. ტოლსტოი რუსული ხელოვნების ოქროს ფურცლებია. ისტორიულ მოვლენათა გრანდიოზული სურათები, ბუნების აღწერა ფერადებით, ფსიქოლოგიური ანალიზის ოსტატობა, ადამიანის სულის ლირიკა — ყველაფერი ეს ტოლსტოიმ ისე უხვად მისცა რუსულ ლიტერატურას, როგორც არცერთ სხვა მწერალს არ მიუცია.

ტოლსტოის შემოქმედება მსოფლიო კულტურის ერთერთი მწვერვალია.

ომი აფრიკაში

ლონდონი, 18 ნოემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო ადენიდან გადმოგვცემს ინგლისის საჰაერო ძალთა სარდლობის შემდეგს კომუნიკეს:

„17 ნოემბერს ჩვენი თვითმფრინავები თავს დაესხნენ ასაბს. იმავე დღეს მათ ყუმბარა დაუშინეს ადის-აბება-ჯიბუტის ფრიად მნიშვნელოვან რკინიგზის ხაზს, რომელსაც, როგორც სჩანს, დიდი ზიანი მიაყენეს. ამ ხაზის ერთერთ უმნიშვნელოვანეს სადგურს—დირედაუას სამჯერ დაუშინეს ყუმბარა. შემჩნეული იყო, რომ ყუმბარები პირდაპირ მოხვდა შენობებს, რკინიგზის ვაკისსა და ხიდს".

ინგლისის საადმირალოს მიერ 17 ნოემბერს გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია: „ინგლისის მცირე ძალებმა ზღვიდან ყუმბარა დაუშინეს იტალიის სომალის უმნიშვნელოვანეს ნავსადგურ მოგადიშოს. სანაპირო ბატარიებმა სროლით გვიპასუხეს, მაგრამ ჩვენს ძალებს ვერავითარი ზარალი ვერ მიაყენეს".

კაიროში გამოქვეყნებულ ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამია, რომ 16 ნოემბერს მტრის თვითმფრინავები ალექსანდრიაში დაფრინავდნენ. ბომბარდირების შედეგად არის მსხვერპლი და მცირეოდენი ზარალი.

ჩიანოს გამგზავრება გერმანიაში

ბერლინი, 18 ნოემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გუშინ საღამოს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო გერმანიას გაემგზავრა.

ჩიანოსა და სერანო სუნიერის გერმანიაში ყოფნის გამო

ბერლინი, 18 ნოემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ბერხტესჰადენიდან გადმოგვცემს, რომ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიანომ და ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერანო სუნიერმა დღეს ინახულეს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი. ცოტა ხნის შემდეგ სერანო სუნიერმა ჰიტლერი ინახულა. ჰიტლერს სერანო სუნიერთან ჰქონდა საუბარი, რომელსაც რიბენტროპიც დაესწრო.

ჩიანოს შეხვედრა ჰიტლერთან

ბერლინი, 18 ნოემბერი (საქდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო დღეს, 17 საათზე, ჩამოვიდა ჰიტლერის რეზიდენციაში, ბერხტესჰადენის მახლობლად. იგი, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერანო სუნიერთან ერთად მოწვეული იყო ჰიტლერთან ჩაიზე. დაესწრნენ აგრეთვე რიბენტროპი და გენერალ-ფელდმარშალი კაიტელი. შემდეგ ჰიტლერი საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპის დასწრებით ესაუბრა ჩიანოს.

ლ. ნ. ტოლსტოი თბილისში

რუსის თოფისწამლის კვამლი მტრედისფერ ნისლად იწვა ხეობებში. უკვე დიდი ხანია დარღვეული იყო კავკასიის მიუვალი მთებისა და უღრანი ტყეების საუკუნეობრივი სიმშვიდე. თავგანწირულ შამილს საბედისწერო ბრძოლა ჰქონდა „ურწმუნოთა" წინააღმდეგ. საქართველოსთან უკვე გასწორებული იყო ანგარიში, და რუსის მეფე ახლა უკვე მთიელებს ემებოდა ნახევარი საუკუნის მანძილზე, ცეცხლითა და მახვილით მიიკვლევდა საშიშ გზას მთებში.

კავკასიის დაპყრობისა და დამოუკიდებლობისათვის მთიელთა ბრძოლის შესახებ კ. მარქსი სწერდა:

„...კავკასიის მთები ჰყოფენ სამხრეთ რუსეთს საქართველოს წარმტაცი პროვინციებისაგან, სამეგრელოსა, იმერეთისა და გურიისაგან, რომლებიც მუსულმანებს მოსწყვიტეს მოსკოველებმა. ამით გიგანტური იმპერიის ფეხები მოკვეთილია სხეულისაგან. ერთადერთი სამხედრო გზა, რომელიც ამ სახელწოდებას იმსახურებს, მოზდოკიდან თბილისისაკენ მიიკლაკნება დარიალის ვიწრო ხეობით. იგი დაცულია სიმაგრეთა უწყვეტი ქსელით და მტრულად განწყობილ კავკასიელ ტომთა მუდმივ თავდასხმას განიცდის. ყველა ეს კავკასიელი ტომები, ერთი სამხედრო ბელადის ხელქვეით რომ გაერთიანდნენ კაზაკთა მეზობელი ოლქებისათვისაც კი სერიოზულ საფრთხედ გადაიქცეოდნენ". (მარქსი და ენგელსი. თხზ. IX ტომი. გვ. 533 რუს. გამოც.).

ახასიათებდა რა რუსეთის საგარეო პოლიტიკას 1830-1848 წლებში, ენგელსი სწერდა:

„... ამ პერიოდის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა კავკასიის დაპყრობა და რუსიფიკაცია, რისი განხორციელებაც ბოლოს, ოცი წლის ბრძოლის შემდეგ შესძლეს". (მარქსი და ენგელსი. თხზულ. XVI ტომი. ნაწ. II, გვ. 26 რუს. გამოც.).

1851 წლის აპრილში ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი კავკასიაში გამოემგზავრა თავის უფროს ძმასთან ნიკოლოზთან ერთად, რომელიც მთიელთა წინააღმდეგ მოქმედ კავკასიის არმიაში მსახურობდა. აქ ლევ ნიკოლოზის-ძე მონაწილეობას იღებდა თავდასხმებში, რასაც ყურადღება მიაქცია თავადმა ბარიატინსკიმ და ურჩია მას სამხედრო სამსახურში შესვლა. ლ. ტოლსტოი დასთანხმდა და გამოცდების ჩასაბარებლად თავისი ძმის ნიკოლოზის თანხლებით ეწვია კიდევაც თბილისს 1851 წლის 1 ნოემბერს (ძვ. სტილით). აი, რასა სწერს იგი თბილისიდან თავის მამიდას—ტატიანა ალექსანდრეს ასულს:

„... თბილისი ძალიან ცივილიზებული ქალაქია, იგი ძალიან ჰბაძავს პეტერბურგს და ეს მას კარგადაც გამოუდის. საზოგადოება რჩეული და საკმაოდ მრავალრიცხოვანია. არსებობს რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, რითაც ვსარგებლობ იმდენად, რამდენადაც მაძლევს ამის საშუალებას ჩემი მცირე სახსრები. ვცხოვრობ გერმანელთა ახალშენში;—ეს გარეუბანია, მაგრამ ჩემთვის ორის მხრივ არის მეტად ხელსაყრელი. ერთი ის, რომ ეს ბაღებითა და ვენახებით გარემოცული მშვენიერი ადგილია, რის გამო აქ სოფელში უფრო ჰგრძნობ თავს, ვიდრე ქალაქში. (აქ ჯერ კიდევ ცხელა და კარგი ამინდია; ჯერ თოვლი არ მოსულა და არც ყინვაა). მეორე უპირატესობა ის არის, რომ ორ, საკმაოდ სუფთა ოთახში თვეში 5 მანეთს ვიხდი ვერცხლით, მაშინ როდესაც ასეთ ბინას ქალაქში თვეში სულ მცირე 40 მანეთი მაინც დასჭირდებოდა".

„...გახსოვთ, ძვირფასო მამიდა, თქვენ რომ ერთხელ მირჩიეთ მეწერა რომანები? აი, მე მივდევ კიდეც თქვენს რჩევას, და მეცადინეობა, რომელზედაც მე გწერთ, ლიტერატურული მუშაობაა. მე ჯერ კიდევ არ ვიცი გამოქვეყნდება თუ არა ის, რასაც ვწერ, მაგრამ ამ საქმემ ისე გამიტაცა და ისე ღრმად შევიჭერ მასში, რომ ვეღარ მოვეშვები".

იტალიური ოპერა, რომლის შესახებაც ლაპარაკობს ლევ ტოლსტოი, დიდი მოვლენა იყო თბილისელებისათვის. წარმოდგენები ახლადაგებულ მშვენიერ შენობაში იდგმებოდა, რომელიც ერევნის (ამჟამად ლ. პ. ბერიას სახელობის) მოედანზე მდებარეობდა (შემდეგ ეს შენობა დაიწვა). იტალიური დასი 1851 წელს მოიწვიეს; იგი სდგამდა დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ოპერებს.

გერმანელთა ახალშენში (დიდუბეში) ლევ ტოლსტოი სამხედრო სამსახურში შესასვლელად ემზადებოდა და სწერდა თავის პირველ ნაწარმოებს — „ბავშვობას". უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პირობებში მისი ნაცნობობის წრე ზედმიწევნით ვიწრო იქნებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ტოლსტოიმ აქ ხანგრძლივად იავადმყოფა. ამის გამო ტოლსტოი თბილისიდან თავის ძმას სერგეის სწერდა:

„აქ, თბილისში, მე სამი ნაცნობი მყავს... პირველი ჩემი ნაცნობი არის პეტერბურგელი ბაგრატიონი (ფერზენის მეგობარი). მეორე—თავადი ბარიატინსკი... ეს ნაცნობობა, ცხადია, დიდ კმაყოფილებას არ მაგრძნობინებს, რადგან მიხვდები, თუ ნაცნობობას როგორი ურთიერთობა შეიძლება იყოს იუნკერსა და გენერალს შორის. მესამე ჩემი ნაცნობი—მეაფთიაქეს თანაშემწეა, ხარისხაყრილი პოლონელი, ერთობ საინტერესო ადამიანი. დარწმუნებული ვარ, თავადი ბარიატინსკი ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, რომ მეაფთიაქეს თანაშემწის გვერდით მოხვდებოდა, რომელ სიაშიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც მოხვდა..." „... თუ გსურს თავი ისახელო კავკასიის ამბების ცოდნით, შეგიძლია ყველას უამბო მანდ, რომ შამილის შემდეგ მეორე პიროვნება, ვინმე ჰაჯი-მურადი ამ დღეებში ჩაჰბარდა რუსეთის მთავრობას. მთელს საჩაჩნეთში იგი პირველი მოჯირითე და ვაჟკაცი იყო, მაგრამ სისაძაგლე კი ჩაიდინა..."

ასე შეაფასა ჰაჯი-მურადის საქციელი ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოიმ.

45 წლის შემდეგ, 1896 წელს დიდებული მწერალი თავის მოთხრობის „ჰაჯი-მურადის" წერას შეუდგა. ამ ხნის განმავლობაში, ცხადია, ბევრი რამ დავიწყებული იყო, ამიტომ ისტორიულ პირთა და მომხდარი ფაქტების აღსადგენად ლ. ტოლსტოიმ ცნობების შეგროვება დაიწყო ყველა თავის მეგობართა და ნაცნობთა შორის. მან მიჰმართა თავის მეგობარს ილია ნაკაშიძეს, ესაძეს, შულგინს, ანა აბესალომის-ასულ ყორღანოვისას (ნუხის მაზრის უფროსის, ყორღანოვის მეუღლეს, რომლის რაზმმა მოკლა ჰაჯი-მურადი). მოთხრობა „ჰაჯი-მურადში" ჩვენ გვხვდება ცნობილი მანანა ორბელიანი, რომელთანაც დაახლოებული იყო ვორონცოვი და რომლის სალონში თავს იყრიდნენ მოწინავე წრის ყველა წარმომადგენლები. მოყვანილია შუშის მაზრის უფროსი თარხნიშვილი, ყორღანოვი, ლორის-მელიქოვი და მრავალი სხვანი. ყველა ეს ისტორიული პირნი ლევ ტოლსტოიმ მოთხრობაში შეიყვანა შეგროვილი წყაროების მიხედვით. ლ. ტოლსტოიმ თბილისში 1852 წლის თებერვლის დაწყებამდე დაჰყო.

„ვფიქრობ, — სწერდა ტოლსტოი ერთერთ წერილში თბილისიდან, — რომ ზეშთაგონებით მომენიჭა ახირებული აზრი კავკასიაში გამგზავრების შესახებ. ვგრძნობ, რომ აქ უკეთესი გავხდი".

მეფის რუსეთი კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში მღელვარე ოკეანესავით გამორიყავდა ხოლმე მომავალ გოლიათებს, და აქედან იწყებოდა მათი ტრიუმფალური სვლა ხელოვნების ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ. აქ აჟღერდა პირველად მაქსიმ გორკის მგზნებარე ჩანგი. აქ სწერდა ლ. ტოლსტოიც თავის პირველ ნაწარმოებს. კავკასიის ამბებს მან მთელი რიგი ნაწარმოები უძღვნა: „ჰაჯი-მურადი", „კაზაკები", „კავკასიის ტყვე", „თავდასხმა", „ტყის ჭრა", და სხვა. მათში გვხვდება ქართული და აგრეთვე სხვა კავკასიური სიტყვები.

1852 წელს 2 ივლისს პიატიგორსკში დამთავრა ლევ ტოლსტოიმ თავისი პირველი მოთხრობა „ბავშვობა" და ლ. ნ. ინიციალების მოწერით გაუგზავნა ჟურნ. „სოვრემენიკს", რომლის რედაქტორი იყო ცნობილი პოეტი ნეკრასოვი. ნეკრასოვი გაეცნო ნაწარმოებს და მისწერა ავტორს, რომ ნაწარმოები მას მოეწონა, მაგრამ სთხოვა ეცნობებინა გვარი. რამდენიმე ხნის შემდეგ ნეკრასოვი კვლავ სწერს: „თუმცა მე ვხედები, მაგრამ დაბეჯითებით გთხოვთ მაცნობოთ მოთხრობის ავტორის გვარი. ეს მე საცენზურო პირობების მიხედვითაც უნდა ვიცოდე".

ლევ ნიკოლოზის-ძე სდუმს. ნეკრასოვი კვლავ მოითხოვს აცნობონ მას ავტორის ვინაობა.

„საიდუმლოება" მაინც გამოუცნობი დარჩა. 1852 წლის 6 სექტემბერს გამოქვეყნდა „სოვრემენიკში" გენიოსი მწერლის პირველი ნაწარმოები „ბავშვობა". ლევ ნიკოლოზის-ძეს უხაროდა, რომ ამ ნაწარმოების ავტორის ვინაობა მხოლოდ ერთმა კაცმა იცის... და ეს კაცი მისი ძმა ნიკოლოზია.

შ. კაშაძე.

სოხუმი. სურათზე: სასტუმრო „აფხაზეთი" (ხედი პარკის მხრით). ფოტო ვ. ჩერკასოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

წყალტუბო—მთა-კარიოფი

წყალტუბო („კომუნისტის" კორ.). მთა-კარიოფში, წყალტუბოდან დაახლოებით 12 კილომეტრის მოშორებით, აღმოჩენილია ტუფის ქვის მდიდარი ბუდობები. ამასთან დაკავშირებით უკვე დაიწყო და წლის ბოლომდე დამთავრდება ახალი, კეთილმოწყობილი გზატკეცილის მშენებლობა დაბა წყალტუბოდან მთა-კარიოფამდე. წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობათა საგზაო ბრიგადები და წყალტუბოს ჩარკვიანის სახელობისა და სოფ. ხომულის კოლმეურნეობა „ოქტომბრის სხივის" წევრები უმაგალითო შრომითი აღტყინებით შეუდგნენ გზაზე მუშაობას.

გზის სიგრძე 12 კილომეტრია. მისი გაყვანის შემდეგ საქართველოს ორდენოსანი რესპუბლიკა მთა-კარიოფიდან უხვად მიიღებს ძვირფას სამშენებლო მასალას.

კომბინირებული მინერალური სასუქების ქარხანა

სოხუმი, (საქდესი). სოხუმის მახლობლად, კოლმეურნეობა „მეგობრობისა" და „წითელი შუქურის" ტერიტორიაზე აღმოჩენილია ტორფის მნიშვნელოვანი ბუდობები.

ტორფისა და ფეკალების მასის ნარევი ჩინებული მინერალური სასუქი იქნება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახკომისარიატმა გადასწყვიტა სოფელ ლეჩყოფში ააგოს ტორფ-ფეკალების ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად გადაამუშავებს 20 ათას ტონა ტორფს. ქარხნის მშენებლობა 200 ათას მანეთად დაჯდება.

აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭო 50 ათას მანეთს გამოჰყოფს მე-4 კვარტალში ტორფის დამუშავების განვითარებისა და ქარხნის მშენებლობისათვის.

ლეჩყოფის ტორფ-ფეკალების ქარხანა მინერალური სასუქებით მოამარაგებს აფხაზეთის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას.

სოფელ მაიაკოვსკის კეთილმოწყობა

მაიაკოვსკი, (საქდესი). გამალებით მიმდინარეობს რაიონული ცენტრის — სოფელ მაიაკოვსკის კეთილმოწყობა. აგებულია პოლიკლინიკისა და აბანოს შენობები, აფართოებენ სარაიონო კლუბის სადგომს, დაწყებულია აფთიაქისა და კოოპერატივის შენობის აგება.

ქუჩებისა და ტროტუარების მოსაასფალტებლად გამოყოფილია 110 ათასი მანეთი. ქუჩების გასწვრივ დარგულია 3.000 ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე და 500 ევკალიპტი.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1544453, გაცემული აბელ ილიას-ძე **ფხალაძის** სახელზე, პარტსაკანდიდატო ბარათი № 2165198, გაცემული ვალერიან მიხეილის-ძე **ცერცვაძის** სახელზე და საკანდიდატო ბარათი № 0708836, გაცემული გიორგი მათეს-ძე **ტატუნაშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

მიკოლა ბაჟანის პოემები და ლექსები ქართულ ენაზე

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა „ფედერაცია" ქართულ ენაზე გამოუშვებს ცნობილი უკრაინელი ორდენოსანი პოეტის მიკოლა ბაჟანის რჩეული პოემებისა და ლექსების წიგნს. წიგნში შედის პოემები: „სტალინი", „ღამე ბრძოლის წინ" (პოემა კიროვზე), „თმოგვის გზა", „მებაღე" და სხვ.

პოემები და ლექსები სთარგმნეს პოეტებმა ს. ჩიქოვანმა, ი. მოსაშვილმა, ვ. გაფრინდაშვილმა, ა. მაშაშვილმა, დ. გაჩეჩილაძემ, მ. პატარიძემ, ვ. გორგაძემ, რ. გვეტაძემ და სხვ.

წიგნი გამოდის ს. ჩიქოვანის რედაქციითა და წინასიტყვაობით. იგი ქართველი პოეტების პასუხია უკრაინელი პოეტების მიერ ქართული პოეზიის კლასიკოსებისა და თანამედროვე პოეტების ნაწარმოებთა გამოცემისა.

(საქდესი).

ლექცია

22 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის სხდომაზე განხილული იქნება ამხ. **ლომაძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„მარქს-ენგელსის წიგნის „კომუნისტური მანიფესტის" მნიშვნელობა".**

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ყველა ლექტორის დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

საქდესის გასწორება

„კომუნისტის" ა. წ. 19 ნოემბრის ნომერში მოთავსებულ უცხოეთის ინფორმაციაში „დეილი ექსპრესი" კოვენტრის ბომბარდირების შედეგების შესახებ" მეორე სვეტის მე-29-34 სტრიქონები უნდა იკითხებოდეს ასე: „... კოვენტრის უსახლკარო მოსახლეობისადმი განსაკუთრებული მზრუნველობით დამოკიდებულება გამოიჩინეს გარეუბნის მუშათა რაიონებში".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — „მუსიკალური ისტორია" დღისით — „ექიმი აიბოლიტი", — **ოქტომბერი** — „მუსიკალური ისტორია", **დამკვრელი** — „მუსიკალური ისტორია", დღისით — „პატრიოტები", **კომკავშირელი** — „კარო", **სპარტაკი** — „კარო", **ლუქსემბურგის სახ.** — „მუსიკალური ისტორია", **26 კომ. სახ.** — „თავადის ქალი მერი", **კომინტერნი** — „ნათელი გზა", **განთიადი**—„მიტკა ლელიუკი", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „საყვარელი ქალიშვილი", **წითელი არმიის სახლი**—„გამანადგურებლები", **ბერიას სახელობის კულტურის სახლი**—„მშვენიერი ვასილისა", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „გადასასვლელი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
20 ნოემბერს მე-6 აბ. მე-3 წარმ.
მთების გული
21 ნოემბერს მე-7 აბ. მე-3 წარმ.
ჩიო-ჩიო-სან
22 ნოემბერს მე-10 აბ. მე-3 წარმ.
ტრავიატა
დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი
20 ნოემბერს 1 აბ. მე-5 წარმ.
გუშინდელნი
21 ნოემბერს
უდანაშაულო დამნაშავენი
22 ნოემბერს
ბოგდან ხმელნიცკი
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი
20 ნოემბერს — ბედნიერება
21 ნოემბერს სერია მე-2 აბ. მე-3 წარმ. — სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი
22 ნოემბერს — სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.
24 ნოემბერს დღის წარმოდგენა კოლმეურნის ქორწინება დასაწყ. დღის 12 ს.

მარქსიზმ-ლენინიზმის
საერთო-საქალაქო უნივერსიტეტში
საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ფაკულტეტის (ქართული სექტორის)
მეცადინეობა დაიწყება ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე
საქ. მუზეუმის სალექციო დარბაზში
(ფურცელაძის ქ. № 1).
მსმენელები, რომლებსაც არ მიუღიათ შესასვლელი ბარათები, უნდა გამოცხადდნენ ლექტორიუმის კანცელარიაში 20 ნოემბრამდე დილის 9-დან 5 1/2 საათამდე და საღამოს 8-დან 10 საათამდე მსმენელების მიღება გრძელდება დამატებითი ჯგუფებისათვის.
475 განსახკომის ლექტორიუმის დირექცია.

კამოს სახელობის საავადმყოფოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ექიმ ივანე ხომასურიძეს მისი დის
ქეთევან ბეჟანიშვილის
გარდაცვალების გამო. 8902

ცოლი დომნა, შვილები გრიგოლ ცოლშვილით, ზინაიდა და აკაკი იუწყებიან
სამსონ ოქროპირის-ძე კაჭარავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა აბაშაში 20/XI. 8889

შვილი გალინა რუხაძე, ძმები იასონ, თედორე სანოძეები, რძლები ეფროსინე, ქსენია შვილებით იუწყებიან
ვარდიკო (მარიამ) დიმიტრის-ასულ რუხაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 20/XI 6 ს. საჩხერის, 5 (ლენრაიონი). 8886

მშობლები ბეგი, ნორა კვანტალიანები, ბიძები იპოლიტე, აკაკი და კუკუშა ცოლშვილით, მამიდა ბაბილინა ქმარშვილით იუწყებიან პატარა
ვაჟიკოს (ვაჟა)
გარდაცვალებას. პანაშვიდი 20/XI 7 ს. გამოსვენება 21/XI 5 ს. მიასნიკოვის, 102. 8901

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციები მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოს
ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის
გარდაცვალებას.

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომლები: მ. ივაშჩენკო, ს. ბარნაველი, დ. კაპანაძე, ს. ზედუკიძე, რ. მგელაძე, ა. აფაქიძე, შ. ხიდაშელი, ი. კიკვიძე, ნ. ვასილიევა, ი. პახომოვი იუწყებიან ექსპედიციის ხელმძღვანელის, აკადემიკოს
ივანე ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. 301

ფარაჯანიშვილი, მირზოევი, პრონცენკო, ვარნაძე, ბაქრაძე, ც. და გ. ქიაურელები, ქავთარაძე, ბოკუჩავა, კაშიბაძე, სიდამონიძე, თევზაძე, ნასელნიკოვა, კანიუკი, მუშკუდიანი იუწყებიან კ. ჯავახიშვილის მამის
პროფ. ივანე ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. 8892

დედა ფედოსი, ქმარი ვარლამ, შვილები ნინო, ქეთო, თამარ, შვილიშვილი ლერი, სიძეები ალიოშა, გიგლა იუწყებიან
ვერა სილიონის-ასულ ქათამაძე-აბესაძის
გარდაცვალებას. 8883

ბიძაშვილები ბაგრატ, კოლია, დომენტი, ბიქტორ, არჩილ, ბესო, ზაქრო, გიორგი, სერგო, გაბო, კოწია კერესელიძეები ოჯახებით იუწყებიან
ბაგრატ (ზავრადი) პავლეს-ძე კერესელიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. წესში. 8834

გერსამია, ბერიძე, ყიფიანი, ქურდიანი, გიგინეიშვილი, ჯაფარიძე, ნიკურაძე, ზახაშვილი, გოდერძიშვილი, დეკანოზიშვილი, ნიორაძე, ლინტიბიძე, ვაშაკიძე, ფხაკაძე, ღულუხიშვილი იუწყებიან სისო ფახცხავას შვილის
პატარა რუსუდანის
გარდაცვალებას. 8885

დედა ნატაშა, შვილები ვახტანგ, ჩიტო, დეიდა ოლღა, რძალი ასინეთი, სიძე ექ. ტიტე ბარამიძე იუწყებიან
ვანო (ვაჟია) კაპიტონის-ძე ხანიკიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 21/XI 5½ ს. ყვირილის, 4, კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი 20/XI 7 ს. 8887

პროფ. აკაკი შანიძე ღრმა მწუხარებით იუწყება ძვირფასი მასწავლებლის აკადემიკოს
ივანე ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. 8888

რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მუზეუმის დირექტორის, აკადემიკოს
ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. 8894

მე-18 საშუალო სკოლის პედპერსონალი და ამავე სკოლის მოწაფეთა ისტორიის წრე აუწყებენ საზოგადოებას ისტორიული მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწის, აკადემიკოს
ივანე ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. 8893

სამეცნიერო-საკვლევო ფარმაკოქიმიური ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები ქუთათელაძე, მასხულია, ასათიანი, გედევანიშვილი, აბოლი, ჰუმბურიძე, ბურჯანაძე, მშვიდობაძე, მუჯირი, შოთაძე იუწყებიან აკადემიკოს
ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. 8891

მცხეთა - სამთავრო-არმაზის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მხცოვანი მეცნიერის, ექსპედიციის ხელმძღვანელის
აკად. ივანე ჯავახიშვილის
გარდაცვალების გამო. 302

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომლები: ა. კალანდაძე, ლ. მუსხელიშვილი, ს. მენთეშაშვილი, ნ. ლამბაშიძე, გ. ლომთათიძე, ვ. გოზალიშვილი, თ. აბრამიშვილი, დ. ქორიძე, გ. მჭედლიშვილი, გ. ბერიაშვილი, კ. კვეეს, მ. ქიქოძე იუწყებიან ექსპედიციის ხელმძღვანელის, აკადემიკოს
ივანე ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. 300

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს კულტგანყოფილება და შინამრეწველობის მუზეუმის დირექცია ულრმესი მწუხარებით იუწყებიან შინამრეწველობის მუზეუმის საორგანიზაციო კომიტეტის საპატიო წევრის, საქართველოს შინამრეწველობის ისტორიის ავტორის, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს
ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. 8897

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი და პარტიული ორგანიზაცია მწუხარებით იუწყებიან აკადემიკოს
ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. 8903

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორები: გ. ხაჭაპურიძე, გ. ნათაძე, ნ. დუბროვსკი, მ. პოლიევქტოვი, ს. ჯანაშია, გ. ნიორაძე, გ. გოზალიშვილი, ა. ნამორაძე, ნ. ბერძენიშვილი, დოცენტები: ა. ფირცხალაიშვილი, მ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე, თ. ლომაური, მ. ალექსიშვილი, გ. ჩიტაია, ა. კიკვიძე, თანამშრომლები: მ. დავითაია, გ. გორგასლიძე, ე. ტყემალაძე იუწყებიან აკადემიკოს
ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. 8905

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექცია, პარტორგანიზაცია და ადგილკომი მწუხარებით იუწყებიან მუზეუმის მთავარი კონსულტანტის, აკადემიკოს
ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. 8898

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ მუშაკთა და მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი მწუხარებით იუწყება მუზეუმის მთავარი კონსულტანტის, აკადემიკოს
ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. 8899

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა და სტუდენტობა მწუხარებით იუწყება აკადემიკოს
ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. 8904

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექცია და მეცნიერი თანამშრომლები იუწყებიან აკადემიკოს
ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. 8895

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატი, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა ულრმესი მწუხარებით იუწყებიან აკადემიკოს
ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. 8896

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს — 3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის— 3—80—84, წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგისა და გამომშვების 3—81—65, გამომცემლობის—51—81, სტამბის დირექტორის— 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

უე 3481

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.